

# ეროვნული საბჭო

სტენოგრაფიული ანგარიში

## 40 სსდომა

პარასკევი, სექტემბრის 20 1918 წ. თბილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე—ნიკოლაზ ჩხეიძე.  
პრეზიდიუმში არიან თავმჯდომარის ამხანაფნი იესუ ბარათაშვილი,  
ქეთიძე თაუაშვილი.

მდივანი დ. თნაშვილი.  
მდივნის ამხანაფი ა. აბაქელია.  
მდივნობს ა. აბაქელია.

კრება იხსნება 12 ს. 30 წუთზე.

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ. გუშინ წინ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნულ საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ერთი წევრი არსენ შამუღაიშვილი. ვთხოვ კრებას განსვენებულის ხსოვნას ფეხზე აღდგომით პატივი სცეს. (საბჭო ფეხზე აღდგომით პატივს სცემს განსვენებულის ხსოვნას).

### საბჭოს წევრის ივ. ვარაზაშვილის განცხადება.

თავმჯდომარე. ვთხოვთ წაიკითხოთ განცხადება.

იოს. აბაქელია (კითხულობს ივ. ვარაზაშვილის განცხადებას).

მაქვს პატივი გაცნობოთ რომ ამ დღიდან, ე. ი. ბუთმეტი სექტემბრიდან უარს ვაცხადებ ეროვნულ საბჭოს წევრობაზე.

საბჭო ცნობათ იღებს ამ განცხადებას.

### სამანდატო კომისიის მოხსენება წევრ. კანდიტ. დამტკიცების შეხახებ.

თავმჯდომარე. დასამტკიცებელი გახლავთ სამანდატო კომისიის მიერ მიღებული, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ წარდგენილი კანდიდატთა სია. (მდივანს) ვთხოვთ წაიკითხოთ:

### სოც.-დემ. ფრაქციის მიერ წარდგენილი კანდიდატთა სია:

ა. აბაქელია (კითხულობს) 1, გოგოლაძე კაპიტონი, 2, ფირცხალაიშვილი ილია, 3, ვადაცკორია სოლომონი, 4, იმნაიშვილი ნიკოლოზი, 5, ემუხვარია არზაყანი, 6, ჯაფარიძე კონსტანტინე, 7, ზოფერია გრიგოლ, 8, ბერიშვილი პავლე, 9, მგელაძე დიმიტრი, 10, კობალევი-



შეილი ილია, 11, ძველიაი ბარნაბი, 12, სირბილაძე ემილი, 13, ლურაძე ლავროსი, 14, ჩიკავა ალექსანდრე, 15, ხუროძე ვანდო, 16, მაგნარაძე გიორგი, 17, ჩოჩია გრიგოლ, 18, სოლოროვი გრიგოლ, 19, ბესელიძე სოსო, 20, როკავა ევტროფი.  
 საბჭო ამტკიცებს ამ სიას.

**ცნობა კომისიებში გადასაცემ კანონპროექტებისა.**

• ამაკვლია. (კითხულობს) სია კომისიებში გადასაცემ კანონპროექტებისა.

1. ფინანსთა და ფაქრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ შტატების კანონპროექტი.

გადაეცემა საფინანსო კომისიას

2. კანონპროექტი საქციხო უწყების ორგანიზაციისა საქართველოს ტერიტორიაზე.

გადაეცემა საფინანსო კომისიას

3. კანონპროექტი გადასახადების აკრეფისა.

გადაეცემა საფინანსო კომისიას.

საბჭო ამტკიცებს ამ სიას და არდგენს კანონპროექტები გადაეცეს სათანადო კომისიებს.

**დღიური წესრიგი:**

1. საბოლოო ტექსტი საქართველოს რესპუბლიკის გერბის კანონისა მომხსენებელია საბჭოს წევრი შალვა ამირეჯაბი.

2. საბოლოო ტექსტი დროებით საგანგებო სასამართლოს კანონისა. მომხსენებელია საბჭოს წევრი ნიკოლოზ ჩიკავაძე.

3. კანონპროექტი წინამძღვრად თეატრის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელი არიან საბჭოს წევრნი დავით თინათინაძე და თევდორე კიკვაძე.

4. კანონპროექტი მოპირგებელს მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ. მომხსენებელია საბჭოს წევრი რაფაელ ივანიშვილი.

5. ხელშეკრულება ადვრბეიჯანის მთავრობასთან ოთხმოცი მილიონი ბონის გამოცემის შესახებ.

მომხსენებელია დიმიტრი თაფურაძე.

6. კანონპროექტი სახელმწიფო კონტროლიორის გამაგირის შესახებ მომხსენებელია დიმიტრი თაფურაძე.

კანონპროექტი ჯარის კაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტის, თუთუნის, პაპიროზის, და წამლების უაქციზოთ მიცემის აკრძალვის შესახებ.

მომხსენებელია საბჭოს წევრი დავით თინათინაძე.

საბჭო ამტკიცებს უცვლელად დღიურ წესრიგს.

თავმჯდომარე. საბჭოს წევრი შალვა ამირეჯაბი. (გრ.-დემ.) საბოლოო ტექსტი საქართველოს რესპუბლიკის გერბის კანონპროექტისა.

მუხლი პირველი საბჭოს მიერ მიღებული ტექსტი: (საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფო ღერბი.

სარედაქციო კომისიამ ეს მუხლი ასე შეასწორა:



საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს თვისი სახელმწიფოებრივი ღერძი.

მორე მუხლი. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში მორე მუხლი გახლდათ.

ღერძზე გამოხატულია თეთრი გიორგი და შვიდი მნათობი.

სარედაქციო კომისიამ ეს მუხლი ასე შეასწორა:

ღერძად არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ სარედაქციო კომისიამ საჭიროდ სცნო შიდაკომისიის ყურადღება, რომ ესლავე დანიშნოს კონკურსი რომ ღერძი დროზე გაკეთდეს.

თავის აზრი გამოსთქვას და პარლამენტს შემოეცნება მსჯელობა, შემდეგი კანონ-პროექტი.

საბჭოს წევრი ფიცხაძეა.

საშსონ ფიცხაძეა. (ს. ფ.) (კითხულობს) საბოლოო ტექსტი რესპუბლიკისა დროებით საგანგებო სასამართლოს დებულებსა.

საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ეწერა: ქ. თბილისში, თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქისათვის ქალ. ქუთაისში, ქუთაისის გუბერნიისათვის და ქალაქ სოხუმში სოხუმის ოლქისა დაკავებულ ადგილებსათვის იმ საქმეთა განსახილველად, რომელნიც განისჯებიან 5 აგლისის 1918 წ. კანონით არსდება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო ქვემოდ მოყვანილ საფუძველზედ.

სარედაქციო კომისიამ შემდეგი შესწორება შეიტანა:

ქ. თბილისში—თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქისათვის, ქ. ქუთაისში—ქუთაისის გუბერნიისათვის და სოხუმში—სოხუმის ოლქისა და ომით დაჭერილ ადგილებსათვის იმ საქმეთა განსახილველად, რომელნიც განისჯებიან 1918 წ. ივლისის 5-ს კანონით დაარსდეს რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლო ქვემოდ მოყვანილ საფუძველით:

შემდეგ 1 ნაწილი საბჭოს მიერ ასე გახლდად მიღებული:

რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო შესდგება თავმჯდომარისაგან მისი ამხანაგისაგან და 5 წევრისაგან.

ჩვენ შევასწორეთ:

ნაწილი 1 რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო შესდგება თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა და 5 წევრისაგან, სასამართლოსთან არის ბრალმდებელი და მისი ამხანაგი.

შემდეგ შენაშენა: ათა საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ასე გახლდათ:

თუ საჭიროება მოითხოვს მთავრობას უფლება აქვს გაამრავლოს რიცხვი თავმჯდომარის და ბრალმდებლის ამხანაგის და სასამართლოს წევრების.

ჩვენ შევასწორეთ:

უკეთეს საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს გაამრავლოს რიცხვი თავმჯდომარის და ბრალმდებლის ამხანაგებისა და სასამართლოს წევრთა.

მორე შენაშენა საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტისა:

სასამართლოს მდივანი და საჭირო რიცხვი კანცელარიის მოხელეთა რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს განკარგულებაში მოვალეობა დაეკისრება საოლქო სასამართლოს მოხელეთაგან.



სარედაქციო კომისიამ შეასწორა:

დროებით საგანგებო სასამართლოს მდივნის და კანცელარიის მოვლა ხელგთა მოვალეობას შეასრულებენ ყოველთვის სასამართლოს მდივანი და მოხელენი.

მუხლი მეორე.

პირველ მუხლში აღნიშნულნი პირნი ინიშნებიან საქართველოს მთავრობის მიერ.

შესწორდა შემდეგ ნაირად:

2) პირველ მუხლში აღნიშნულ პირს დანიშნავს საქართვე. მთავრობა.

შენიშვნა:

თავმჯდომარე, მისი ამხანაგი და ბრალმდებელი და მისი ამხანაგი უნდა იყვნენ უმაღლეს იურიდიულ განათლების მქონე პირნი.

შესწორება შემდეგნა:

სასამართლოს თავმჯდომარეს და მის ამხანაგს, ბრალმდებელს უნდა მქონდეს მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება.

შესამე მუხლი:

საქმის განსახილველად სასამართლო შესდგება თავმჯდომარის და მისი ამხანაგისაგან; ბრალმდებლის ან მისი ამხანაგისაგან, სასამართლოს ორი წევრისაგან და მდივნისა ან მისი თანაშემწესაგან.

შეეასწორეთ აშნაირად:

საქმის განსახილველად სასამართლოს სტომა შესდგება თავმჯდომარის ან მისი ამხანაგისაგან, ბრალმდებლის ან მისი ამხანაგისა, სასამართლოს ორი წევრისა, მდივნისა ან მისი თანაშემწესაგან.

შემდეგ მუხლში არის ნათქვამი:

საქმის განხილვა საქიროა, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს კარები დახუროს თუ ამას საჭიროდ დაინახავს.

შეეასწორეთ აშნაირად:

საქმის განხილვა საქიროა, მაგრამ სასამართლოს კარები დაიხუროს თუ ამას საჭიროდ დაინახავს.

მუხლი მეხუთე:

სასამართლოს საქმის წარმოება უნდა მოხდეს იმ წესით, რომელიც მიღებულია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის გარჩევის დროს.

სარედაქციო კომისიამ შეასწორა ეს მუხლი აშნაირად:

სასამართლოს საქმის წარმოების ოქმი შედგენილი უნდა იქნეს იმ წესით, რომელიც დაკუთვნილია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის გარჩევის დროს.

მუხლი მეექვსე:

მოწმეთა დაკითხვა უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების საერთო წესით, თუ მოწმე თავის რწმენის გამო ფიცს არ მიიღებს საჯარო აღთქმა უნდა ჩამოერთვას.


სარედაქციო კომისიის მიერ მიღებული მუხლი აშნაირად არის:

მოწმეთა დაკითხვა მოხდება სისხლის სამართლის საქმის წარმოების საერთო წესით, თუ მოწმე თავის რწმენის გამო ფიცს არ მიიღებს ამას უნდა ჩამოერთვას საჯარო აღთქმა.

მუხლი მეშვიდე.

თუ წინასწარ გამოძიებაზედ დაკითხული მოწმე სასამართლოში არ გამოცხადდა რა მიზეზების გამოც უნდა იყოს, სასამართლოს უფლება აქვს საქმე გარჩიოს თუ კი საქმარისად სტომაზე წაიკითხოს მოწმის





ჩვენება. თუ არ გამოცხადდნენ ისეთი მოწმენი ვინც წინასწარ გამოცხადებულ დაკითხულნი არ არიან, სასამართლოს უფლება აქვს შეაჩეროს საქმე თუ ამ მოწმეების გამოცხადებას რაიმე მიზეზის გამო საძნელოთ იცნობს, ან და შათ ჩვენებას არსებითი მნიშვნელობა საქმისთვის არა აქვს.

შევვალეთ ამ ნაირად: სარედაქციო კომისიის მიერ მიღებული ტექსტი შემდეგ ნაირია:

უკეთუ წინასწარ გამოძიების დროს დაკითხული მოწმე სასამართლოში არ გამოცხადდა, რა მიზეზითაც უნდა იყოს, სასამართლოს უფლება აქვს საქმე გააჩიოს, თუ კი საკმარისად მიიჩნევს ამ მოწმის ჩვენების წაკითხვას. უკეთუ არ გამოცხადდა ისეთი მოწმე რომელიც წინასწარ გამოძიებაზე დაკითხული არ ყოფილა, სასამართლოს უფლება აქვს გააჩიოს საქმე, თუ იმ მოწმის გამოცხადებას რაიმე მიზეზისა გამო საძნელოთ მიიჩნევს ან და მის ჩვენებას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მუხლი მერვე უცვლელად დაეტოვეთ.  
წინა მუხლში აღნიშნულ საკითხების გამო სასამართლომ დასაბუთებული დადგენილება ოქმში უნდა შეიტანოს.

მეცხრე მუხლი ასე გახლდათ მიღებული.  
ყოველი დანარჩენი საკითხი საქმის წარმოების წესისა სისხლ. სამ. საქ. წარმ. წესდების მიხედვით უნდა გადაწყდეს.

ჩვენ შევასწორეთ:  
ყველა დანარჩენი საკითხები საქმის წარმოების წესისა სისხლ. სამ. საქ. წარმ. წესდების მიხედვით სწყდება.

მუხლი შეათე.  
განჩენის გამოტანას წინ უნდა უძლოდეს კითხვების დაყენება, როგორც დანაშაულობის (ВИНОВНОСТЬ) ისე შეწყენარების (СНИСХОЖДЕНИЕ) შესახებ.

შევასწორეთ ამ რიგად:  
განაჩენის გამოტანას წინ უნდა უძლოდეს კითხვის დასმა როგორც ბრალდებულობის (ВИНОВНОСТЬ) ისე შემსუბუქ. (СНИСХОЖДЕНИЕ) შესახებ.

მუხლი მეთერთმეტე საბჭოს მიერ მიღებულია შემდეგ ნაირად:  
თუ სასამართლომ დამნაშავე შეწყენარების ღირსად იცნო, საკვდილით დასჯის შაგიერ უნდა მიუსაჯოს სხვა სასჯელი, მაგრამ არა ნაკლებ იმისა, რომელიც კანონშია აღნიშნული ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის. სარედაქციო კომისიამ შევასწორა შემდეგ ნაირად:

უკეთუ სასამართლომ დანაშაული შემსუბუქების ღირსად იცნო, საკვდილით დასჯის შაგიერ, დამნაშავეს უნდა მიუსაჯოს სხვა სასჯელი, მაგრამ არა ნაკლებ იმისა, რომელიც კანონში აღნიშნულია ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის.

მეთორმეტე მუხლი.  
ყველა კითხვას სასამართლო სწყვეტს ხმის უმეტესობით.

ჩვენ შევცვალეთ შემდეგნაირად:  
ყოველ საკითხს სასამართლო გადასწყვეტს ხმის უმეტესობით.

მუხლი მეცამეტე საბჭოს მიერ ასე გახლდათ მიღებული.  
თუ სასამართლო იცნობს რომ საქმე მას არ ექვემდებარება უნდა გადასცეს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს, კანონიერ მსვლელო-



ბისთვის. თუ უთანხმოება მოხდა საქმის ქვემდებარობის შესახებ, კითხვას სწევრებს სასამართლო პალატა.

სარედაქციო კომისიამ შესცვალა ამნაირად:

უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ საქმე მას არ ექვემდებარება, უნდა გადასცეს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს კანონიერი მსვლელობისათვის.

უკეთუ უთანხმოება ჩამოვარდა საქმის ქვემდებარეობის გამო, საკითხს გადასწევრებს სასამართლოს პალატა.

შემდეგი მუხლი საბჭოს მიერ ასე გახლდად მიღებული:

სასამართლოს განაჩენი აღნიშნულ უნდა იქმნეს ვინ და რა საქმეებშია დამნაშავედ ცნობილი ან გამართლებული, წლოვანობა ბრალდებულსა, კანონები, რომელთა მიხედვით სასჯელია გამოტანილი და რა სასჯელია გადაწვეტილი.

სარედაქციო კომისიამ შესცვალა ამნაირად:

სასამართლოს გარდაწვეტილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს, ვინ რა საქმეშია დამნაშავედ ცნობილი ან გამართლებული; წლოვანობა ბრალდებულისა, კანონთა მუხლი რომლის ძალითაც მიჩენილია სასჯელი და რა სასჯელია გადაწვეტილი.

მუხლი მეხუთმეტე.

რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს განაჩენის განსაჩივრება შეიძლება მხოლოდ საოპერაციო წესით. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს დაარსებამდის. საქსაკოო საჩივარი შეტანილ უნდა იქმნეს ტფილისის სასამართლო პალატაში, რომელიც ვალდებულია საქმე გაარჩიოს არა უგვიანეს ერთი კვირისა, დღიდან პალატაში საქმის შესვლისა.

ჩვენ აქ განსაჩინა განსაჩივრებას მაგიერ ვიპარეთ: გადაწვეტილების განსაჩივრება.

თაგმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს სანსონ დადანს.

ს. დადან. (ს. ფ.) სარედაქციო კომისიამ შესცვალა განაჩენი—გადაწვეტილებად. სამინისტროსთან არსებობდა საგანგებო კომისია, რომელიც ტერმინალოგიას იძუწევდა. იყო კიდევაც შემთხვევები, რომდესაც ამ იურიდიულ ტერმინალოგიას მიაქციეს ყურადღება და სხვათა შორის ასე თუ ისე უკვე მიღებულია „განაჩენი“ და საერთო ცხოვრებაში — „приговоръ суда,“ ეს უფრო განსაჩინა და საერთოთ უფრო მღებულისა, ვიდრე გადაწვეტილება.

ამიტომ მე მგონია უმჯობესია დარჩეს ისე, როგორც წინად იყო და არა როგორც კომისიამ გადაწვეტილა.

თაგმჯდომარე სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რ. არსენიძეს.

რ. არსენიძე. (ს. დ.) კომისიამ ასეთი წინადადება მიიღო, იმიტომ რომ თუ „приговоръ“-ს განაჩენი დაარქვეს, ალბად მოხდა იმიტომ, რომ ითარგმნება პარდაპირ რუსულიდან.

რუსულ ტექსტში სწერია „პრიგოვორი“ და ჩვენმა ხალხმა „პრიგოვორში“ შეიტანა სრულიად გარკვეული აზრი. ის ეკითხება იმ ხალხს, რომელიც სასამართლოში დადის, რა მიუსაჯა სასამართლომ, რა დადგენილება გამოიტანა, ასე ამბობს ხალხი, ჩვენს ენაზე ეს არის მღებულისა. აქ პრიგოვორს სთარგმნიან განაჩენად. მართლაც სოფლის განაჩენი კი არის „პრიგოვორი“, მაგრამ აქ სოფლის განაჩენზე არ არის ლაპარაკი.



სისხლის სასამართლოს იურიდიული პრიგოვორი გადაწყვეტილება არის;

მაშასადამე სოფლის პრიგოვორი—განაჩენი, სასამართლოს პრიგოვორი—გადაწყვეტილება. როცა ილაბარაქებთ სასამართლოზე, იტყვიით: სასამართლომ რა გადასწყვიტა, ან რა მიუსაჯა, ეს და ეს სასჯელი. ასე ხმარობს ხალხი და ჩვენც იმიტომ ვხმარობთ სწორედ ამ ტერმინს.

ჩვენ ვთარგმნით—გადაწყვეტილება მხოლოდ ხალხის მკენების და მისი აზრის მიხედვით იმიტომ, ჩვენ რუსული ტერმინები პირდაპირ არ უნდა ვთარგმნოთ.

სარედაქციო კომისიამ სწორეთ იმიტომ შესცვალა, რომ სისხლის სასამართლოში გადაწყვეტილება იხმარება, სწორეთ იმ აზრით არის წახმარი ეს სიტყვა, როგორც უფრო მისაღები და გასაგები ხალხისათვისაც.

ნაჯ. ჩაგოგაძე. (ს. რ.) რაც გადაწყვიტა სარედაქციო კომისიამ ის მივიღოთ.

თაყაიშვილი. კენჭს უყრი. საბჭოს წევრი დადიანი წინადადებას იძლევა, რომ დარჩეს სიტყვა განაჩენი. კომისიის აზრით კი სიტყვა „განაჩენი“ უნდა შეიცვალოს სიტყვით „გადაწყვეტილება“, ვინ არის წინააღმდეგ ამ წინადადებას? მაშასადამე რჩება სიტყვა გადაწყვეტილება, ისე, როგორც შემოიტანა კომისიამ. მუხლი მეთექვსმეტე.

შომისკენაძე კი ახულობს მე-16-ტე და 17 მუხლს.

ნ. ჩაგოგაძე. მეთექვსმეტე მუხლში არის ნათქვამი: საკასაციო საჩივრის შესატანად ვადა არის საში დღე-ღამე, განაჩენის საბოლოოდ გამოცხადების შემდეგ.

ჩვენ შევასწორეთ: საკასაციო საჩივრის ვადა არის საში დღე, სამოცდა თორმეტი საათი, განაჩენის საბოლოოდ გამოცხადებიდან.

მე-17-ე მუხლი საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ასე იყო: სიკვდილით დასჯა სისრულეში უნდა იყოს მოყვანილი იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სამხედრო სასამართლოს საქმის წარმოების წესდებებში.

შევასწორეთ:

სიკვდილით დასჯა სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სამხედრო სასამართლოს საქმის წარმოების წესდებებში.

მეთვრამეტე მუხლიც არის შეცვლილი. იყო ნათქვამი:

თუ სასამართლომ იცნო, რომ ბრალდებული დამნაშავეა მხოლოდ იმისთანა ბოროტმოქმედებაში, რომელიც კანონით სიკვდილით არ ისჯება, განაჩენის გამოტანის შემდეგ პირველად აღძრულ ბრალდებაში მოვალეა საქმე სათანადო სასამართლოს კანონიერი წესით გადასცეს.

ჩვენ შევცვალეთ:

თუ სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულს მხოლოდ ისეთი დამნაშაული ვდება ბრალად, რომელიც კანონით სიკვდილით არ დაისჯება, მოვალეა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ საქმე სათანადო სასამართლოს გადასცეს, კანონიერის წესით.



მუხლი მეცხრამეტე ასე იყო მიღებული:

წინასწარი გამოძიება იმ საქმეთა შესახებ, რომელიც ექვემდებარება რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს სწარმოებს საერთო წესით შემდეგი გამონაკლისით.

ჩვენ შევსცვალეთ:

წინასწარი გამოძიება იმ საქმის, რომელიც ექვემდებარება რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს სწარმოებს საერთო წესით ქვემო აღნიშნულ გამონაკლისით.

მუხლი მეოცე საბჭოს მიერ ასე იყო მიღებული:

გამოძიება ამ საქმეთა უნდა მოხდეს ყოველივე რიცხის გარეშე და დამთავრდეს არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან საქმის დაწყებისა. თუ საქმე მეტად რთულია და ორკვირაში შეუძლებელია მისი სათანადოდ გამოძიება, გამოძიებელი ვალდებულია შეატყობინოს ეს საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს, რომლის მოვალეობას შეადგენს თვალყურის დევნება, რომ საქმე დროზედ იყოს დამთავრებული.

შეცვლილია ამ გვარად.

გამოძიება ასეთ საქმისა უნდა მოხდეს რიცხის გარეშე და დამთავრდეს არა უგვიანეს ორი კვირისა საქმის დაწყების დღიდან. თუ საქმე მეტად რთულია და ორკვირაში შეუძლებელია მისი ჯეროვნად გამოძიება, გამოძიებელი ვალდებულია აუწყოს საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს, რომლის მოვალეობას შეადგენს თვალყურის დევნება, რომ საქმე დაჩქარებით იყოს დამთავრებული.

მუხლი 21 საბჭოს მიერ ასეა მიღებული.

ის პირი, ვისი საქმეც უნდა გაიჩნეს, რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოში წინასწარ გამოძიების დროს უეჭველად პატიმრად უნდა იყვნენ.

ჩვენ შევსვალეთ:

ის პირი, ვისი საქმეც ექვემდებარება რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს, წინასწარ გამოძიების დროს დაპატიმრებული უნდა იყოს.

მუხლი 22, აქ არაერთიანი ცვლილება არ არის.

თუ გამოძიების შემდეგ გამოირკვევა, რომ პატიმარს ბრალი ედება ისეთ ბოროტ-მოქმედებაში, რომელიც კანონით სიკვდილით არ ისჯება, გამოძიებელს უფლება აქვს პატიმრად ყოფნა შეუცვალოს სხვა რაიმე კანონში აღნიშნულ ზომით.

მუხლი ოცდა შესამე.

გამოძიების დამთავრების შემდეგ გამოძიებელი გაუგზავნის საქმეს რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს ბრალმდებელს და ამასთანავე განკარგულებას ახდენს პატიმარი გადაყვანილი იქნეს იმ ქალაქის ციხეში, სადაც არსებობს რესპუბლიკის საგანგებო სასამართლო.

შევსვალეთ ამნაირად:

გამოძიების დამთავრების შემდეგ გამოძიებელი გაუგზავნის საქმეს რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს ბრალმდებელს და ამასთანავე განკარგულებას მოახდენს, რათა დაპატიმრებული გადაყვანილი იქნეს იმ ქალაქის საპატიმროში, სადაც რესპუბლიკის საგანგებო სასამართლო არსებობს.

24, 25 და 26 მუხლი უცვლელად არიან მიღებულნი:

მუხლი 24. საქმის მიღების შემდეგ სამი დღის განმავლობაში



ბრალდებული მოვალეა შეიტანოს საქმე სასამართლოში, ან, ~~აქტივად~~ მდებელო ოქმით, ან თავის დასკვნით საქმის მოსპობის შესახებ.

მუხლი 25. რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო განიხილავს ბრალდებულის დასკვნას საქმის მოსპობის შესახებ, სამი დღის განმავლობაში მომწესრიგებულ სხდომაზე, რომელიც შესდგება თავმჯდომარის, ან მისი ამხანაგის და სასამართლოს ორის წევრისაგან.

მუხლი 26. თუ სასამართლო არ დაეთანხმა ბრალდებულს საქმის მოსპობის შესახებ, საქმეს უკანვე უბრუნებს საბრალმდებელო ოქმის შესადგენად.

ოცდამეშვიდე მუხლი შევასწორეთ. საბჭოს მიერ ასე იყო მიღებული:

იმ პირთ, ვინც მონაწილეობას იღებს 25 მუხ. აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტის დროს, უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

ჩვენ შევასწორეთ:

27. იმ პირთ, ვინც მონაწილეობას იღებს 25 მუხ. აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტის დროს, უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში.

მე-28-ე მუხლი ასე იყო მიღებული:

საქმის სასამართლოში გადაცემის შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი, არა უგვიანეს ორი დღისა, იწვევს ბრალდებულს და აბარებს მას საბრალმდებელო ოქმის პირს. თუ ბრალდებული მოითხოვს მოწმეების ან მკოდნე პირების გამოწვევას, ან აღძრავს სხვა რაიმე შუამდგომლობის, ყოველივე ეს ცალკე ოქმში უნდა იქმნეს შეტანილი.

ჩვენ შევასწორეთ:

საქმის სასამართლოში გადაცემის შემდეგ არა უგვიანეს ორი დღისა სასამართლოს თავმჯდომარე, ან მისი ამხანაგი, მოიწვევს ბრალდებულს და ჩააბარებს საბრალმდებელო ოქმის პირს. თუ ბრალდებული მოითხოვს მოწმეების ან მკოდნე პირების გამოწვევას, ან აღძრავს სხვა რაიმე შუამდგომლობის, ყოველივე ეს ცალკე ოქმში შეტანილ უნდა იქმნეს.

29 და 30 მუხლი უცვლელადაა მიღებული.

სასამართლო მოვალეა წინა მუხლში აღნიშნული ბრალდებულის მოთხოვნილება ოცდაოთხ საათში განიხილოს განმარტებული სხდომაზე.

რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს მოხელეთ ჯამაგირები მიეცემათ საოლქო სასამართლოს შესაფერ თანამდებობის ჯამაგირის მიხედვით.

31 მუხლი ასე იყო მიღებული:

რევოლუციონური ტრიბუნალი გაუქმებულად ჩაითვალოს დღიდან ამ კანონის მიღებისა და მათ წარმოებაში მყოფი საქმენი გადაეცემა სათანადო სასამართლოებს.

შემდეგი მუხლები უცვლელადაა მიღებული.

32. ეს დებულება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო — „საქართველოს რესპუბლიკაში“.

33. ეს დებულება გაუქმებულ იქნეს იმ დღიდან, როდესაც ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტი იქნება შემოღებული.



# შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება რუსეთისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა.

საუწყებლო მარჯ. სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს.

საუკრძალოდ: მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენლებო!

დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა საქართველოს მთავრობა ყოველ ღონით სცდილობდა, რომ ეს დამოუკიდებლობა ელიზარებინათ სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებსაც. ამ მხრით მან თავისი დიპლომატიური წარმომადგენლების მეშვეობით შესაფერი ნაბიჯი გადასდგა.

დღეს, გერმანიის მთავრობა, რომელთანაც ჩვენ, როგორც მოგვხსენებთ, გვაქვს შესაფერი ხელშეკრულება, მოკლებული იყო საშუალებას ეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, იმ მოსაზრებით, რომ ახალი ტერიტორიები ჩამოშორდნენ რუსეთს, და სანამ თვით რუსეთის მთავრობა იმას არ დასთანხმდებოდა, — ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა ეწინააღმდეგებოდა ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულებას, რომელსაც გერმანიის მთავრობისთვის და სხვა სახელმწიფოებისთვის ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამიტომაც როგორც საქართველოს მთავრობა, აგრეთვე გერმანიის დიპლომატები იღებდნენ შესაფერ ზომებს, რომ ეს დამოუკიდებლობა ეცნო რუსეთის მთავრობას.

მაგრამ, თქვენ მოგვხსენებთ, ხალხის წარმომადგენლებო, რომ ის პირობები, რომელშიაც იმყოფება საქართველო — სწორედ რუსეთის მთავრობისაგან მოვლოდა მას განსაკუთრებული საფრთხე, ვინაიდან იმ პირებს, რომელნიც სათავეში მოექცნენ რუსეთის სახელმწიფოს, სწორედ ამ პირებს, ექვემდებარებოდნენ და ემყარებოდნენ ისეთი პირები ჩვენშიაც, რომელთაც მიზნად დაისახეს დასამარება ჩვენი დამოუკიდებლობისა და ამ გზით მრავალ ადგილას აჯანყებას ახდენდნენ, ამიტომ, სწორედ, განსაკუთრებული კომპანიაიც ჩვენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სწარმოებდა, როგორც მოსკოვში, აგრეთვე უფრო ახლო ქალაქებშიაც, ხარკოვში, კიევი და სხვაგან. ჩვენ ხაზი უნდა გაუსვიათ იმ გარემოებას, რომ ამ მხრივ, უკანასკნელ დროს, რუსეთის მთავრობა გყრდნობოდა, რამდენიმედ მაინც, გერმანიის დემოკრატიაზე, განსაკუთრებით უნდა ითქვას, სოც. დემ. თანაგრძობაზე. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით რომ, თუ ჩვენ სწორე და უტყუარ ცნობებს მივაწვდიდით გერმანიის სოც. დემ. სწორედ ამ გზით ეს უკანასკნელი ხელშეშლელი პირობები ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარებისა მოიხსობოდა.

როგორც თქვენ მოგვხსენებთ მთავრობის და სხვა პირების მიერ გერმანიაში გაგზავნილი იყო განსაკუთრებული პირები, რომ იქ პარტიებისთვის, სხვა და სხვა პარტიებისთვის, და კერძოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის, აეხსნათ საქმის ვითარება. რუსეთის მთავრობას, მის შემდეგ ჩამოეცალა სწორედ ის უკანასკნელი დამხმარე ელემენტი, რომელზედაც ეყრდნობოდა და ამ შემთხვევაში ცდილობდა რომ უკანასკნელ დრომდის ხელი შეეშალა, ჩვენი დამოუკიდებლათ აღიარებისათვის.

დღეს ჩვენ გვაქვს უფლ ბა გადაჭრით გამოცხადოთ, რომ მას შემდეგ, რაც ეს ჩვენი ხელშეშლელი პირობები მოცილებული იქმნა იმ მთავრობამ, რომელთანაც ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული ხელშეკრულება, გერმანიის მთავრობამ შეჰკრა დამატებითი ხელშეკრულება რუსე-





თის მთავრობასთან, და ამ დამატებით ხელშეკრულებაში, ბრეტანელ ტოვისის ხელშეკრულებასთან, ერთ მუხლში ნათქვამია, რომ მთავრობა თანახმა არის, გეგმანამ აცნას წყნა (ი. ე. საქართველოს) სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. მას შემდეგ მოხდა რატიფიკაცია ამ ხელშეკრულებისა, როგორც ამას ჩვენ გვაცნობს წარმომადგენელი მთავრობისა ბერლინში, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. აკაკი ჩხენკელი.

სამწუხაროდ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება აღიარებული რუსეთის მთავრობის მიერ ენება მხოლოდ ჩვენ რესპუბლიკას. დანარჩენ რესპუბლიკების შესახებ არაფერი ნათქვამი არ არის. ჩვენ ჯერ ჯერობით არ ვიცით რა პირობებში მოხდა ეს.

რაც შეეხება, ჩვენ დამოუკიდებლობას ის უკვე ამჟამად ფაქტად ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ რაკი რუსეთის მთავრობა დასთანხმდა ეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა ამ თუ იმ სახით, მაშინ ნაბიჯს გადასდგამენ ნეიტრალური სახელმწიფოები და თან და თან მთელი ევროპა, და სხვა სახელმწიფოების მიერ ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარებულ და ცნობილ იქნება.

განსაკუთრებულ მნიშვნელოვანი არის ჩვენითვის ეს აქტი, სწორედ იმიტომ, რომ როგორც თქვენ მოგვხსენებთ, დღემდის კიდევ ჩვენ დამოუკიდებლობას, ჩვენ სახელმწიფოს ფარგლებში ყავდა შრავალგვარი მტერი, რომელიც არ იშურებდა არაერთარ საშუალებას, რომ მისთვის, ჩვენი რესპუბლიკისთვის, ჩვენი დამოუკიდებლობისათვის ძირი გამოეთხარა.


დღეს, როცა ის სახელმწიფოა კი, რომლის ნაწილს წინად შეადგენდა საქართველო, სცნობს ჩვენ დამოუკიდებლობას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ავტიკაციას მიმართულს ჩვენს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რამდენადმე მანაც გამოეცლება ნიადაგი და ჩვენი ბაღი, განურჩევლად მდგომარეობისა, და მე იმედი მაქვს, განურჩევლად ეროვნებისა შემოკრებმა ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულების და მთავრობის წინაშე და მათთან ერთად შეეცლება ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებას და სახელმწიფოს აყვავებას. (ტაში).

**განაიღვა კანონ-პროექტისა წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების შესახებ.**

თავმჯდომარე. შემდეგი კანონ-პროექტი წინამძღვარიანთ სამეურნეო სკოლის შესახებ. მომხსენებელია საბჭოს წევრი კიკვაძე.

თ. კიკვაძე (ს. დ.). ბატონებო, 1884 წ. დუშეთის მაზრაში, სოფელ წინამძღვარიანთ კარში, ბატონმა ი. წინამძღვარიშვილმა დაარსა საკუთარის ხარჯით თავის მამულში დაბალი ტიპის პირველ დაწყებით სამეურნეო სკოლა, შემდეგ ამ სკოლას დახმარებას აღწევდა ყოველწლიურად სათავადაზნაურო ბანკი ნ ათას მანეთს. მაგრამ იმ დღიდან, რა დღიდანაც თავად-აზნაურობის ქონება გაღმოვიდა ეროვნულ საბჭოში, ეს შემწეობა მოისპო. მაშასადამე აქედინ ცხადია, რომ თითონ ი. წინამძღვარიშვილს არ შეეძლო გასძლიოდა თავისი ხარჯით სკოლას, მით უმეტეს რომ თითონ ფასები გადიდებული იყო წინანდელ ფასებთან შედარებით, ამითი აიხსნება ის რომ პირველ პარტიდან მასწავლებლებს ჯამაგირი არ მიუღიათ. კიდევ მაშინ, როცა არსებობდა ამიერკავკასიის სეიმი მთავრობის სახით, ი. წინამძღვარიშვილმა მიმართა





ეროვნულ საბჭოს, რომ ეროვნულ საბჭოს, საბჭოს, მიმდევარსა და  
 ჯები და მიელო ეს სკოლა თავის მუხრეველობის კვეშ.  
 ეროვნულმა საბჭომ თავის საშუალებებიდან მისცა 5000 ლ. მაგრამ, რა-  
 დგანაც კიდევ საჭირო იყო 31 ათასი მანეთი წლის დაშლევამდინ, მი-  
 შართა შუამდგომლობით სე მის მთავრობას, მაგრამ სემის მთავრობას  
 ეს არ გადაუწყვეტია და როცა ზვენი საქართველოს დამოუკიდებ-  
 ელობაზე გამოცხადდა ეს შუამდგომლობა გადავიდა ზვენ საბჭ-  
 ში, განათლების კომისარმა განიხილა ეს წინდადება და სასურვე-  
 ლად სცნო, რომ ეს სკოლა მიიღოს სახელმწიფომ თავის ხარჯ-  
 ზე და გაადიდოს ხარჯი წელს კიდევ დამატებით 31-ათ მან. შაოლოდ  
 შემდეგ წლებითუნ იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება; შით უმეტეს  
 რამ ამსკრლბს აქვს თავისი წარსული და წარსული ძლიერ კარგი. ამ  
 სკოლაში დაუმთავრებია სწავლე 300 კაცს. შიმთ შორას დიდი უმეტე-  
 სობა დაბრუნებულა სოფლებში და ხელა მოუკიდნია მეურნეობისათვის,  
 ხროლო წაწილი ვადასულა საშუალოდ სამეურნეო სკოლებში იქ შეუ-  
 ტენია სამეურნეო ცოდნა. ეზლა ისინი შსახურებენ და იცავენ მე-  
 ურნეობას ისევე ზვენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

ამ სკოლას დღეს აქვს 30 დესიატრა მიწა, რომელიც შესწირა  
 თითონ სკოლის დამარსებელმა. აქვს აგებული, კარგად მოწყობილი  
 ქვის შენობა, არის გამართული ფიზიკური კამინეთი და სამეურნეო ია-  
 რალების მოდელბიც არის. ყველა ეს ქონება დღევანდელ პირობებში  
 ეღირება არა ნაკლებ 300 ათასი მან.


შოგხსენებათ, რომ საქართველოში ასეთი ტიპის სკოლები თითზე  
 ჩამოსათელელებია. სუყველა დაბალი ტიპის სკოლებია, საშუალო სამე-  
 ურნეო სკოლები არ გავიანია, რაც არის მთავრობის ხარჯზე სკოლები—ისე  
 კარგად შენახული და მოწყობილი არ არის. იმათ შორის წინამძღვარიანთ  
 სკოლა ჩინებულადა დაყენებული და შეადგენს გამოწაკლისს, ასე ესთქვათ  
 რაზსს. ამიტომ კომისიას და შსამინისტროს საჭიროდ შიანნია, რომ  
 იქსროს საბჭომ სახელმწიფო ხარჯზე შენახვა და გაიღოს წლიურად 5  
 ათასი მან. და კიდევ 31 ათასი მან. ვინაიდან წრევეანდელი ხარჯთ-ალ-  
 რიცხვა შეადგენს 31 ათას მან. მაგრამ კომისიას იმედი აქვს და წინა-  
 დადებს აქლევს საბჭოს, რომ მიიღოს თავის ხარჯზე და გადააკეთოს  
 სახელმწიფო სკოლად. ეზლა თუ ნებას შიბოძებთ მუხლობრივ წავიკით-  
 ხავთ. კანონპროექტი შესდგება 2 მუხლისაგან. მუხლი პირველი (კით-  
 ხულობს). წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა გამოცხადებულ  
 იქნეს სახელმწიფო სკოლად.

თაშეკლამარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ონიაშვილს.

დ. ონიაშვილი. მე წარმოვიდგენთ საფინანსო კომისიის აზრს. ეს  
 კანონპროექტი ვანხილული იყო საფინანსო კომისიის მიერ. კომისიამ  
 მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ამ სკოლას დიდი შნიშენ-  
 ლობა აქვს ზვენ ხალხისთვის, ერთის შხრივ და შერეს შხრივ, ის ხარჯთ-  
 აღრიცხვა, რომელიც წარმოდგენილი არის, არ არის შინც და შინც  
 ძლიან დიდი, თუ მიიღებთ მხედველობაში საზღაპრო სიძვირეს და იმ  
 აუტანელ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებიან სკოლის მასწავ-  
 ლებლები.

ამისდა მიხედვით საფინანსო კომისიამ ერთ ხმათ გადასწყვიტა შიი-  
 ლოს ეს კანონპროექტი.

ვინაიდან კომისიის წევრები არიან, რომლებიც მხოლოდ  
 თორბინი დაეინტერესებენ და კიდის მართლებით იმუნდ შიიბედებენ



თავმჯდომარე. კენქს უყრი პირველ მუხლს. ვინ არის წინააღმდეგი მიღებულთა.

თ. კაკაძე (კითხულობს) მეორე მუხლი. გადაიღვას სახელმწიფო ხაზინიდან ხსენებულ სკოლის მიმდინარე წლის ხარჯების დასაფარავლად ოცდა თორმეტი ათასი მანეთი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი მიღებულთა. გთხოვთ წაიკითხოთ ხარჯთ აღრიცხვა

**ხარჯთ-აღრიცხვა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლისა 1918 წ.**

სკოლის გამგეს	თვიურად	260 მ.	წლიურად	3120 მ.
მეურნე მასწავლებელს	"	210 მ.	"	2520 მ.
საზოგადო საგნების მასწავლ.	"	210 მ.	"	2520 მ.
"	"	210 მ.	"	2520 მ.
"	"	210 მ.	"	2520 მ.
"	"	210 მ.	"	2520 მ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს არსენიძეს.  
რ. არსენიძე (ს. დ.) ჩვენ მივიღეთ ერთ ასეთგვარ კანონ-პროექტში ის პრინციპი, რომ სამღვთო სჯული არ იქნება სავალდებულო საგნად, ამიტომ სამღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა უნდა ამოეშალოთ როგორც შტატის მასწავლებლის.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს შალვა ქარუმიძეს.  
შ. ქარუმიძე. ბატონებო, ეს შესამდგ გვიბდება სამღვთო სჯულის მასწავლებლების ჯამაგირზედ ლაპარაკი სხვა და სხვა დაწესებულებაში. თქვენ აქ მოიხსენიეთ განათლების კომისიის აზრი. ჩვენ როცა შემოგვაქვს შტატების აღნიშვნა იმ მოსაზრებიდან გამოვდივართ, რომ ჯერ პრინციპიალურად არ არის გადაწყვეტილი საკითხი ამის შესახებ, და ჩვენ სასწავლებელს როგორი ხასიათი მიეცემა. სამღვთო სჯულის სწავლება აღიარებული იქნება, როგორც ფაკულტეტური და ამოიშლება ან დაჩრება. თქვენ მოიხსენიეთ ასეთ დროს, განათლების კომისიის მომხსენებლის აზრი, რომ ჩვენ ახლო მომავალში შევიტყუვებით ასეთს კანონს და წარმოგიდგინთ. მანამდის კი ასეთი მოთხოვნილება სოც.-დემ. ფრაქციისა—ეს კანონი არის წინასწარ გადაწყვეტილება იმ საკითხისა, რომელიც არ არის გადაწყვეტილი. ეს ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს ბატონებო, რომ ეს საკითხი დაკავშირებული გახლავთ იმ მთავარ საკითხთან, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში, ჩვენ სახელმწიფოს კულტურულ სტრუქტურაში გარკვეული ადგილი უჭირავს. ეს საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია იმ საკითხთან თუ რა განწყობილებაში იქნება სახელმწიფო—ეკლესიასთან. თქვენ მოგვხსენებათ ჩვენ მიღებული გვაქვს ამ მარჯვის კანონები რომელიც არსებულ რუსეთის მიერ იყო მიღებული.

ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო, და ჩვენ მივიღეთ ის, რომ ამ მოსაზრებით თუ იმ გზით შევხედეთ ჩვენ ასეთ მოხსენებას, მაშინ ჩვენ ვარღვევთ იმ მოვლენას, რომელიც ჩვენ აღიარებული გვაქვს ჩვენ კანონებით. ოფიციალურად კი ჩვენ სხვა არა დავგვჩენია რა, რომ ისე უნდა შევხედოთ, რომ თქვენ იმ დროს როდესაც ჯერ კიდევ ეკლესია სახელმწიფო დაწესებულება, სახელმწიფო ინსტიტუტი გახლავთ, ერთნაირ



ბოიკოტს უცხადებთ იმ წოდებას, რომელიც ეწევა დღეს სამღვთო სჯულის სწავლების საქმეს, ეს რასაკვირველია მისადები არ არის ამიტომ მე მოვითხოვ, რომ ეს შტატები, რომელიც შემოგვაქვს იქ, დასრულებული იყოს იმ სახით, რა სახითაც შეტანილი იყო სამინისტროში და რასაც დასტური მისცა განათლების კომისიამ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ს. დადიანს.

დადიანა. (სოც. ფედ.) ფრაქციის სახელით უნდა განაცხადო, რომ ეს საკითხი იმდენად გლემენტალური არის დემოკრატიულ თვალსაზრისით, იმდენად ცხადია რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ჰქონდეს იმ მოვლენას იმ შემთხვევას, როდესაც სამღვთო სჯულის სწავლება იყვეს სავალდებულო მოქალაქესთვის, ვინაიდან სამღვთო სჯულის, და საერთოდ სარწმუნოების, საეკლესიო-საკითხის, ეს სინდილისის საკითხია, და ყოველი მაქალაქე თავისუფალი უნდა იყოს ეს მისი საქმეა ისწავლის თუ არ ისწავლის. ამიტომ ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია სავალდებულო საგნად იყოს ეს საგანი, და შტატებში შეტანილი იყოს. ამიტომ ჩვენ მომხრენი ვართ რომ ეს გაკვეთილი ამოშლილი იყოს და შტატები გაუქმებული.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

თველ. კაკაბე. ის გარემოება რომ ეროვნულმა საბჭომ ასეთ შემთხვევაში ამოშალა ეს შტატები და გააუქმა, ეს მომასწავებელია იმისა, რომ საქართველო, რომ დიდი უმრავლესობა საბჭოსი მომხრე არის სინდილის და სარწმუნოების თავისუფლებისა. ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთი პრინციპი არის და სოც.-დემ. პარტია ამ პრინციპის წინააღმდეგ ვერც ერთ შემთხვევაში და ვერც წერილობანებში ვერ წავა, არც წასულა და არც წავა. მაშასადამე საბჭოს უმრავლესობა წინასწარ აკანონებს, რადგანაც ძირითადი კონსტიტუცია შემუშავებული არ არის, და ეს აქ უნდა შემოიტანოს იმისთვის რომ საზოგადოებას სურს, და სურვილი გამოაცხადა ერთხელ, ორჯერ.

ჩვენ არ გვაქვს ნება, უფლება თავზე მოვახვიოთ ერთ სკოლას სავალდებულო სამღვთო სჯულის გაკვეთილი, ვინაიდან მაშინ ეს იქნება ძალდატანება და არა სარწმუნოების თავისუფლება. ჩვენ კი ყოველთვის ვართ სარწმუნოების საკითხის თავისუფლების მომხრენი, მაშინ ეს პრინციპი ჩვენ გვიკარანახებს, რომ უსათუოდ ეს საგანი ამოშლილი უნდა იყოს და შტატი გაუქმებული.

თავმჯდომარე. მაშასადამე კენჭს უყრი. ვინ არის მომხრე, რომ ამ ხარჯთ აღრიცხვიდან ამოშლილ იყოს აი ეს წინადადება. სამღვთო სჯულის მასწავლებელს მიეცეს 600 მანეთი. (უმრავლესობა შარს უქერს). მაშასადამე ეს წინადადება ამოიშლება და ჯამიდან გადაირიცხება სამღვთო სჯულის მასწავლებლისათვის გადადებული ფული.

თველარე კაკაბე. (განაგრძობს კითხვას).

ხელოსან-მასწავლებელს	თვ.	150 მან.	წლ.	1800 მან.
სკოლის დარაჯს	"	100	"	1200 "
ორ მეურვის	"	200	"	2400 "
ფერმის დარაჯს	"	100	"	1200 "
ორ მწყემსს	"	200	"	1400 "
ფერმის შემოსალობათ	"	-	"	600 "
სასკოლო ნივთებისა და სახელმძღვანელოების შესაძენათ	"	-	"	1000 "



სახელოსნო იარაღებისა და ნედლი მას-	თვ.	მან.	წლ.	1600
ლის შესაძენათ				მან.
სამეურნეო იარაღებისა და სხვა და სხვა				7080
საქიროებისათვის				400
ნაეთი				
სულ				35400 მან.

აქედან ეროვნულ საბჭოს სექციისაგან მიღებულია 5000 მანეთი. თანამდგომარე. ვის მსურს სიტყვა, ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. მე კენჭს უყრი ახლა მთელ კანონპროექტს ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

**განხილვა კანონპროექტისა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ.**

თანამდგომარე. შემდეგ კანონპროექტის შესახებ მომხსენებელია საბჭოს წევრი ივანიჩვა.

რამაყელ. ივანიჩვა. (ერ. დემ.) ბატონებო, სახელმწიფოს წინსვლა და კეთილდღეობა უმეტესად დამოკიდებულია მართლ მსაჯულების წესიერ მოწყობაზე; ეს ისეთი აქსიომაური კეშვარტებაა, რომელიც საზოგადოდ კულტურულ განვითარებულსა და რიგიანად მოწყობილ სახელმწიფოში არავისში ჰხადებს ეჭვს. მით უმეტეს, სავალდებულოა სასამართლოს საქმის წესიერად მოწყობა ისეთს სახელმწიფოსათვის რომელიც აღმშენებლობით ხანაში იმყოფება. რევოლუციის ქარტახილში ბევრი რამ გადასხვაფერდა, ბევრი რამ დაიშხვრა, ბევრი პრინციპებისა და იდეების ახალი შეფხება მოხდა. ნგრევის პროცესში ხშირად სჩვევია, რომ შრავალი დადებითი მხარე ცხოვრებისა მოჰყოლია ისეთს არა სასურველ პირობებში, რომლის შედეგს მხოლოდ შემდგომში ჰგრძნობს რევოლუციის გადამტანე სახელმწიფო და ეს საგრძნობლად განიცადა როგორც რუსეთში, აგრეთვე ახლად აღდგენილში, თუ წარმოშობილმა დემოკრატიულ რესპუბლიკამ, მაგრამ ეს ნგრევის პროცესი დიდხანს ვერ გასტანს. შეუძლებელია, რომ ხალხი ხანგრძლივად გადატრიალების ხანაში იმყოფეთოდეს, საჭიროა რომ დასრულდეს ის, რაც დასასრულებელია, და სახელმწიფოებრივი ძალდატანებითი აპარატი წესიერად და ნორმალურად ამუშავდეს. ჩემის აზრით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მივიდა იმ ვადამდე, როდესაც რაც დასანგრევი იყო, უნდა აღიარებული იქმნას დასგრეულად, როდესაც სახელმწიფომ ახალი აღმშენებლობითი მუშარბა უნდა აწარმოოს და ეს პირველყოვლისა უნდა შეეხებოდეს სახელმწიფო ცხოვრების იმ დარგს, რომელზედაც დამოკიდებულია სახელმწიფოს კულტურა მისა ზრდა და განვითარება. ეს არის სახელმწიფოში მართლმსაჯულების მოწყობა, სახელმწიფო ჩემის აზრით, უალრესად უნდა ცდილობდეს მოქალაქეთა შორის უფლებრივ მოგაღეობის შეგნების გაძლიერებისათვის, რადგანაც, თუ მივიღეთ პირველი დებულება, რომ სასამართლო არის ის დარგი, რომელზედაც განსაკუთრებით ემყარება სახელმწიფოს კეთილდღეობა, უნდა მივიღოთ მგდველობაში ეს, და იმ დასკვნამდის მივიღეთ, რომ სახელმწიფო, მისი აღმშენებელი ორგანიზაციები და ძალა შეუდგებიან ამ დარგის ამუშავებას უფლებების განვითარებისათვის. ნამდვილი სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვე-



ვაში იარსებებს, თუ სახელმწიფომ და ხალხმა გაიგო მისი მნიშვნელობა და ხელი შეუწყოს მას. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიქნეთ, რომ საქართველოს ხალხში სახელმწიფოებრივი შეგნება იმდენად გაზრდილია, რომ ამ მართე მცნებას ლოკაცეს და პირნათლად ემსახურება სასამართლოს მოწყობას. უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლოს ავტორიტეტისათვის, მისი დაცვისათვის და შენახვისათვის უნდა იყოს მიღებული ყოველ გვარი ზომები. ეს რასაკვირველია, შეეხება იმ ორგანოს სახელმწიფოსის, რომელიც ყოველ დღე შეედავს ხალხის ქირ ვარაჟს. რომელიც დაახლოვებული არის ხალხთან. ეს ორგანო არის—ადმინისტრაციული აპარატი და ჩვენ გვინდა რომ ეს ადმინისტრაცია წესიერად იქმნას მოწყობილი, რომ გათვალისწინებული იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი. თუ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეთვისებული ექმნებ, მე მგონია, ჯეროვანად აღასრულებენ იმ ბრძანებლობას, რომელიც გამოძინარეობს მართლმსაჯულების ორგანოდან.

სასამართლო უნდა იქმნეს დაახლოვებული ხალხთან, ეს ყოველ სახელმწიფოში უნდა იყოს, შით უმეტეს ისეთ სახელმწიფოში, სადაც ხალხთმართველობის იდეა უაღრესად განვითარებულია და სადაც ხალხის სურვილს და ნების-ყოფის განმტკიცებას დიდი ადგილი უნდა ჰქონდეს, რასაკვირველია, მართლმსაჯულება უნდა მოეწყოს საქართველოს რესპუბლიკაშიაც. მაშასადამე, სასამართლო უნდა ხალხის უფრო იყოს, უნდა დაახლოვებული იყოს ხალხთან და შოლოდ მაშინ ქეშპირტიად აღასრულებს თავის დანიშნულებას.

შესძლებს კი ქართველი ხალხი პირნათლად დაიცვას ეს ელემენტარული მოთხოვნილება სახელმწიფოსი? ჩვენ გვაქვს მდიდარი წარსული, პრაქტო საუკუნეთა წყებაში განმტკიცებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი ცხოვრება; ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი ხალხი მომავალშიაც შესძლებს დაიცვას სახელმწიფოებრივი იდეა ყოველთვის და ხელი შეუწყოს სასამართლოს განვითარებას და ამ ადვის ხალხში ჩანერგვას. პირველ დღეებში, როცა სახელმწიფოს შენებასა და მართვა გამგეობას შოლოდ ვიწყებთ, ჩვენ რასაკვირველია დაგვიკრძდება უპირველესად ყოვლისა ხელმძღვანელობა იმითი, რასაც გვაძლევს უცხო სახელმწიფოთა სასამართლოს კანონმდებლობა, ამიტომ, ბატონებო, თუმა ჩვენს სახელმწიფოს წარსულში, მოგვეპოვება მდიდარი საზოგადო თუ სპეციალური სასამართლო კანონმდებლობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასი წლის მონობამ გადაგვაგვარა და გადაგვაჩვია ეროვნულს ნიადაგზე მუშაობას. ვის არ ახსოვს, ბატონებო ვახტანგის შესანიშნავი კოდექსი? შოლოდ ძალიან მკირეოდენს დახელოვნებულ იურისტებს, ჩვენ უფრო კარგად ვიცით უცხო სახელმწიფოების კანონმდებლობა, განსაკუთრებით რუსეთისა, და სახელმწიფო ცხოვრებაში კიდევაც ვხელმძღვანელობთ რუსეთის კანონთა კრებულით. რადგანაც ჩვენი სახელმწიფო განსაკუთრებულს პირობებში იმყოფება, რადგანაც ჩვენ არა გვაქვს შეძლება წარსულიდან გადმოვიტანოთ ის, რაც საჭიროა დღეს საქართველოს სახელმწიფოსისათვის, ჩვენ იძულებულნი ვართ ვიხელმძღვანელოთ იმითი, რაცა გვაქვს, ე. ი. უცხო კანონებით, და მომეტებულად—კი იმ სახელმწიფოს კანონებით, რომელთანაც შეუღლებულნი ვიყავით 100 წლის განმავლობაში.

ის კანონ-პროექტი, რომელიც წარმოადგინა ეროვნულ საბჭოში



იურიდიულმა კომისიამ დაფუძნებულია 1912 წლის 15 თებერვალს სეთში გამოცემულ ნოველლაზე. ეს კანონი საფუძველია შემოტანილ კანონ-პროექტისა. ჩვენ ეს კანონი მივიღეთ იმ ცვლილებითა და დამატებით, რაიც გამოწვეულია ჩვენი სახელმწიფოს კონსტიტუციიდან, თუმცა იგი ჯერ დაუწერელია თუ გნებავთ ქართველი ხალხის მისწრაფებიდან. 1912 წლის ნოველლა აღჭურვილია ისეთი ღირსებით, რომ მანვე სიტყვის გავრძელება საქირო არ არის. ეს ისეთი კანონია, რომელიც უსათუოდ გამოჰხატავს არსებითს თვისებას რუსეთში 1864 წლის ვატარებულ სასამართლოს დიად რეფორმებს. შემდგომი დროის, აგრედ წოდებულმა რეფორმებმა რუსეთის კანონმდებლობისა და სასამართლოს საქმე დააქვეითა და სწორედ ამ ნოველის მიზანი და დედა-აზრი იმაში იყო, რომ სასამართლო დეცაბლოგებინა იმ დიდ იდეასთან, რომელიც ჩასახული იყო 1861 წ. კანონმდებლობაში. მაგრამ, უცვლელიად ამ კანონის გადმოტანა საქართველოში იურიდიულმა კომისიამ და იუსტიციის სამინისტრომ შეუძლებლად სცნო. საქართველო უაღრესი დემოკ. სახელმწიფოა, რუსეთის კანონმდებლობა კი და ეს უკანასკნელი ნოველლაც ადგილობრივი სასამართლოს შექმნისა როგორც მოგვსენებათ, ანგარიშს უწევდა ყოველ შემთხვევაში, საერთო სახელმწიფოებრივ წესწყობილებას და ცხადია, კანონმდებელი ისეთ ცვლილებას ვერ შეიტანდა, რომელიც კოლლიზიაში ჩაუღებოდა თვითმყრობელობის ზრახვას.

მოსამართლის ამოსარჩევად საქირო უნდა ყოფილიყო დიდი მატერიული ცენზი, ქალები სახსებით მოკლებული იყვნენ პასსიურ უფლებას; შემდეგ ამისა კანონში იყო ერთი მუხლი, რომელიც დღევანდელს პირობებში ყოვლად მიუღებელია: მე მოგახსენებთ სოფლის სასამართლოზე, ანუ რუსულად „ВОЛОСТНОЙ СУДЪ“ სოფლის სასამართლოს უპირატესობაზე ბევრი ლაპარაკი იყო რუსეთში, ამის შესახებ, ბევრი დაიწერა და ითქვა, როგორც საკანონმდებლო, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებაში მაგრამ, ჩემის აზრით, დღეს საქართველოში შენარჩუნება იმ სასამართლოსი, სადაც ყველაზე ნაკლებათ იყო იურიდიული მხარე დაკული და სქარბობდა მხოლოდ უმეცართა თავ გასულიობა და მეჭრთამეობა მე ვფიქრობ, ჩვენთვის შეუძლებელია და შეუფერებელი სოფლის სასამართლოს შენახვა. თქვენ მოგვსენებათ ვინ იყო ბატონ-პატრონი სოფლის სასამართლოსი და ვის მეოხებითა და ძალ-დატანებით სოფლის სასამართლოს გამოქონდა განაჩენი. ოთხი ძირითადი ცვლილება შეიტანა სამინისტრომ და იურიდიულმა კომისიამ ამ კანონში. პირველი ის არის, რომ ჩვენ კანონში, სრულად მოსაზობილია ცენზი, რომელსაც მოითხოვდა რუსეთის კანონი. შემდეგ ამისა ჩვენ ვანიჭებთ პასიურ უფლებას ქალებს, მოსამართლეთ შეიძლება არჩეულ იქნეს დედაკაციც. მაშასადამე, საქართველოს მოქალაქენი ორივე სქესისა შეიძლება არჩეულნი იყვნენ მსაჯულებად. სავალდებულო და ოფიციალურ ენათ აღიარებულია ქართული ენა. და უკანასკნელი ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი კანონით სასოფლო სასამართლო „ВОЛОСТНОЙ СУДЪ“ — სრულიად გაუქმებულია. ჩვენს კანონ-პროექტში გადმოტანილია ადგილობრივი სასამართლოს კანონიდან მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის დაწესება და ეს მით უმეტეს საქირო იყო, რომ სოფლის სასამართლოს მოსაზობის შემდგომ როდესაც თავის თავად ცხადია, მომრიგებელ მოსამართლეს საქმენი, ხოლო არ-





სებულ ორ სააპელაციო დაწესებულებით — თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოებით დაკმაყოფილება ყოველად შეუძლებელია ნება. მეორე სააპელაციო ინსტანცია უეჭველად ისე გაეამარადონ, რომ საგსებით დავაკმაყოფილოთ ხალხის საქიროება და მოთხოვნილება.

ამ რიგად, მოყვანილი დამატებით ეს კანონ-პროექტი წარმოდგენილია ეროვნულ საექოში. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ეროვნული საბქო მიიღებს ამ კანონ-პროექტს წარმოდგენილ კანონ-პროექტის მიღებასა და ცხოვრებაში გატარებას მოუთმენლად ელოდა ჩვენი ხალხი. ამ კანონის მიღება ხელს შეუწყობს ნორმალურ პირობების შექმნას საქართველოში და ხალხში უფლებრივ გრძობისა და პატივისცემის განვითარებას, ჩვენ გვგონია, რომ როდესაც დავაწესებთ დამოუკიდებელსა და სწრაფ. ღმობიერსა და მოწყალე სასამართლოს, რომელიც უსათუოდ იქნებოდა გამომატველი ხალხის ჯან-სად ედემენტების ნებისყოფისა და სურვილისა, და როდესაც ჩვენ მივცემთ ხალხს ისეთ მოსამართლეს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებული იქნება კანონზე და სინდისზე, რომელიც შესძლებს დამოუკიდებლად და პირნათლად წარმოსთქვას ის, რასაც ძველი რომაელები უწოდებდნენ — ჩვენ დარწმუნებული ვართ. რომ საქართველოს სახელმწიფო შესძლებს ამ შეურყვეველ საფუძველზე აღაშენოს ნამდვილი სასამართლო და ნამდვილი კანონმდებლობა.

თავმჯდომარე. სიტყვა ვკუთვნის იუსტიციის მინისტრს.  
იუსტიციის მინისტრი შალვა ჯაფარიძე-შესხაშვიდი.

მოქალაქენო! რადგანაც დღეს ეროვნული საბქო იბილავს სწორედ იმ კანონ-პროექტს, რომელიც უნდა სამიჯკლად ჩაეყაროს მთელ ჩვენს სასამართლოს აღმშენებლობას, ნება მომეცით მოკლედ გავაცნოთ ის რაც იუსტიციის სამინისტრომ გააკეთა, წარმოშვა თავის არსებობის დროს, და ის გვგმა რომელიც შეიშეშავა, და რომელსაც ახლო მომავალში შემოიტანს.

მე გგონია უკვე დადგა ის დრო, როდესაც ეროვნულმა საბქომ უდა ნათლად წარმოიდგინოს ის გზა, რომლითაც საქართველო უნდა გამაგრდეს, და რომელიც პართლაც და მეცნიერულ და ხალხის ინტერესების ნიადაგზე იყოს დამყარებული.

სრულიად ზედმეტად მიმანია ამ კათედრიდან მტკიცება იმისა, რომ სასამართლოს, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

თუ ჩვენ მართლა გვსურს, რომ ჩვენი სახელმწიფო უფლებრივ კალაპორტში ჩაეყენოთ, თუ მართლა გვსურს რევოლიუციის მონაპოვარი კანონის სახით შევინარჩუნოთ, ამისთვის აუცილებლად საქიროა წარმოვიდგინოთ ნორმალური, რიგიან ნიადაგზე დამყარებული სასამართლო.

და რომ ეს ასე არის, რომ სასამართლო ხალხისთვის უადრესად საქიროა, თქვენ ამას იმ ფაქტიდან დაინახავთ, რომ მართალია სასამართლო ზოგიერთ წრეებში უმაღურობას იწვევს, მაგრამ ეს ბუნებრივია იმ მონარქიის გამო, რომელიც ჩვენში არსებობს, მაგრამ ჩვენს ხალხში მაინც გრძობა სასამართლოსი ძლიერია, და საქიროა იმის გაღვიძება. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენში თითქმის ყველგან აღმოცენდა რევოლიუციის აღვილობრივი სასამართლოები. ზოგიერთ სოფლებში თუ ხალხის სასამართლოს სახით, ზოგან კი რევოლიუციონალურ ტრიბუნა-





ლების საბით. რადგანაც მთავრობამ, სახელმწიფომ ვერ შესძლო დროზე მიეწვდინა სასამართლო ხალხისთვის, თვით ხალხმა ითავა „საქმისა და დამსახურების“ ინიციატივა და შექლებისდაგვარად დაიწყო სასამართლოს დაარსება.

უფლებრივ სახელმწიფოში, რასაკვირველია, ასეთი მოვლენა არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამას ახსნა ისა აქვს, რომ ამ ეამად დღევანდელი სასამართლო, სასამართლო, რომელიც ხალხისთვის ნამდვილი სასამართლოა, რომელიც ხალხს უნდოდა, ჩვენ ვერ მივაწოდეთ. დღეს, როდესაც ჩვენ ვთქვამთ მართლაც მტკიცე ნიადაგზე სახელმწიფოს აგებას სწორედ დღეს უნდა ჩაეყაროს საძირკველი სასამართლოს და ყველა არა ნორმალური არა სასურველი მოვლენა, რომელიც კი აღმოცენებულია ჩვენს ცხოვრებაში უნდა მოსპობილი იყოს.

უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენ, ქართველები ყოველთვის განსაკუთრებულ პირობებში ვიმყოფებოდით. რუსეთში მე-80-ე წლებში, როდესაც დაიწყო დიდი მოძრაობა, როდესაც მთელი საზოგადოება ცდილობდა ყოველ სფეროში ახალი რამ შემოეტანათ და სასამართლოშიც შემოეტანილი იყო ერთგვარი დიდი ცვლილება, რომელიც პროგრესიულად იყო აღიარებული მთელ რუსეთში და რომელიც არ შეგვიძლიან არ ვაღიაროთ პროგრესიულად ჩვენც, — მაგრამ, შემდეგში პოლიტიკურ მოსაზრებით თვითმპყრობელობაში ვერ დამყარა იმისთანა თავისუფალი ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს 84 წლის წესდება, რუსეთის სასამართლოში, თან და თან, ცირკულიარის საბით, სენატის განმარტების საბით, სამინისტროს პოლიტიკაში, თითქმის გააქარწყლა. გააუქმა ეს მიმართულება 80 წლ. და თუ ეს მოხდა რუსეთში, რა იქნება უნდა, ეს უფრო მძიმე ტვირთათ დააწევა საქართველოს, რადგან რუსეთის თვითმპყრობელობა ჩვენ არასოდეს გვენდობოდა, გვეტყობოდა როგორც თავის გერებს, როგორც „ინოროდცებს“ და ცდილობდა შემოეღო ისეთი წეს-წყობილება, რომელიც სრულიად უფლებას არ მისცემდა ჩვენ ხალხს, რომ ნორმალურ სისტემის სასამართლოთი ესარგებლა.

სწორედ ამ პირობებით იყო გამოწვეული, რომ როდესაც რუსეთში დიდი ხანია შემოიდგეს, გაატარეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი — ჩვენში, ჩვენი ხალხი ამ ინსტიტუტს სასტიკად ებრძოდა, ეწინააღმდეგებოდა. მაშინ, როდესაც რუსეთში მომზადებულ მოსამართლეთა ინსტიტუტი ნორმალ დონეზე იყო დაყენებული, ჩვენში ეს სრულიად დამახინჯებული საბით გადმოასროლეს, როდესაც რუსეთში საგამომჩიებლო ნაწილი, მაინცა და მაინც შეცნიერულ და იურიდიულ ნიადაგზე იყო დამყარებული და არა სრულიად ბიუროკრატიულ ნიადაგზე, ჩვენში ესეც დამახინჯებულ ნიადაგზე იყო გადმოტანილი.

ამიტომ, რაცა მოხდა დიდი რევოლუცია, როდესაც წარსულის ნაშთები უნდა წალეკილყო, დადგა მომენტი, როდესაც სასამართლოს სფეროსთვის სულ ახალი ნიადაგი უნდა შეგვექმნა.

ამისთანა მოძრაობა რუსეთში უკვე დაიწყო, მაგრამ, როდესაც ბოლშევიკების მოძრაობა გაძლიერდა, როდესაც ბოლშევიკებმა ძალა ჩაიდგეს ხელში, იმის მაგივრად, რომ გადაესინჯათ ძველი სასამართლოს დებულებანი, რაც კარგი იყო ხალხისთვის, იგი შეენარჩუნებინათ, ამის მაგივრად ერთი ხელის დაკვრით სრულიად მოსპეს სასამართლო და სამართალი მთელ რუსეთში.

აი სწორედ ამისთანა პირობებში, ამისთანა ძნელ პირობებში მოუ



ხდა ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს სასამართლოს უწყების მოწესრიგება. ჩვენში იყო შექმნილი ისეთი მოხერხებული ინსტიტუტი, რომელიც ჩვენთვის სპეციალურად, და სხვა განაპირა ქალაქებისთვის ჰქნოდა რუსეთის ბიუროკრატია.

აი ამისთანა პირობებში გვიხდებოდა, მე პირადად და ჩემს სამინისტროს სასამართლოთა გარდაქმნა და ახალ ნიადაგზე აღმოცენება.

ამისთანავე, მე მოვალედ ვთვლი ჩემ თავს, ვაუწყო ეროვნულ საბჭოს, რომ შეზადგენლობა ამ სასამართლოსი და ყველა იმ ორგანიზაციებისა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას შერჩა ხელში თავისუფლების გამოცხადების შემდეგ, სრულიად არ შეეფერებოდა ჩვენს მდგომარეობას, ჩვენ პოლიტიკურ ინტერესებს და ჩვენ მისწრაფებებს.


ჩვენ შეგვჩნა აუარებელი ხალხი, ძველი ბიუროკრატისა, რომელნიც, ერთის მხრივ, სრულიად ვერ შეეგუებოდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკას წესწყობილებას და მეორე მხრივ რომელთა ეროვნული და პოლიტიკური გრძნობა სწორედ სასამართლოში არამც თუ სათანადო სმალღებზე არ იდგა არამედ ეს სასამართლოს ორგანიზაციები დიდ საბოტაჟსაც უცხადებდნენ ჩვენს ახალსა და ნორჩ სახელმწიფოს. ამისთანა ძნელსა და რთულ პირობებში მოუხდა მეუშაობა იუსტიციის სამინისტროს.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი.

ჩვენი საქართველოს სახელმწიფო, შედარებით ამიერ კავკასიისთან, პატარა სახელმწიფოა. სასამართლოს უწყებაში კი შეგვჩნა ისეთი აპარატი, რომელიც საქირო იყო არა მარტო საქართველოსთვის არამედ მთელ ამიერკავკასიისთვის. რადგანაც შტატების შეზადგენლობა და ხარჯთ აღრიცხვა განსაზღვრული იყო არა მარტო ჩვენი მოთხოვნილებებისათვის, არამედ მთელ ამიერ კავკასიისათვის. ვის მოქმედებით ჰფარავდა მთელს ამიერკავკასიის და ხშირად ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილსაც. ამისთანა პირობებში, იუსტიციის სამინისტრო შეეცადა აღმოეცენებინა იპასთან აპარატი, რომელიც საქირო იქნებოდა საქართველოს საქიროებისათვის. ეს უკვე სისრულეში არის მოყვანილი. ეხლა აღარ არსებობს არც ერთი დაწესებულება, რომელიც აღემატება ჩვენ მოთხოვნილებებს.

ყველა ის ცენტრალური დაწესებულებანი, რომელნიც იყვნენ მთელ ამიერკავკასიაში და ხშირად ჩრდილოეთ კავკასიაში ეს დაწესებულებანი უკვე მოსპობილი არიან იმ ნაწილში, რომელნიც ჩვენთვის ზედმეტი იყო. მოხდა მითი ლიკვიდაცია, და შტატების შემცირება. იმ დროს იუსტიციის სამინისტროში არ არსებობდა არც ერთი ცენტრალური დაწესებულება, რომელიც აღემატებოდა იმ მოთხოვნილებებს, რომელიც აქვს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

მეორე მხრივ, იუსტიციის სამინისტროს წინაშე ბუნებრივია საკითხი სასამართლოს გარდაქმნისა. შესაფერი კანონპროექტები უკვე დიდი ხანია რაც წარმოდგენილია; თითქმის პრველ დღეებში კანონპროექტი მომრიგებელ მოსამართლეს შესახებ კანონპროექტი გამოამძიებელ ნაწილის გარდაქმნის შესახებ და კანონპროექტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ უკვე შემოტანილია სამინისტროს მიერ, და ზოგი მათგანი, შეიძლება ტენსიკური მიზეზების გამო, დაგვიანდნენ და მათ მხოლოდ დღეს იხილავს საბჭო.



მე სიტყვას არ გავაგრძელებ, მხოლოდ მოკლედ მოგახსენებ საბჭოს იმ პრინციპზე, რომელზედაც იუსტიციის სამინისტრო ამყარებს თავის კანონპროექტს, რომელიც დღეს, ოფიციალურად, იურიდიულ კომისიის მიერ წარმოდგენილი იყო.

ეს არის ის, რომ სასამართლო უნდა იყოს იმისათნა დაწესებულება, რომელსაც ხალხი არ უნდა გაუზზოდეს, არ სთელიდეს მძიმე ტვირთად. იგი უნდა იყოს იმისათნა დაწესებულება, სადაც ხალხი თავის უფლებას დაიცავს. იმისათნა დაწესებულებაში ხალხი სიამოვნებით მიდის. ამისათნა დაწესებულება უნდა იყოს ხალხთან დაახლოებული, და რაც შეიძლება ნაკლებ ხარჯებს იწვევდეს. იგი უნდა იყოს ხალხის ნდობით აღჭურვილი.

აქედან, რასაკვირველია, პრაქტიკული ზომებიც გამომდინარებენ: რასაკვირველია, სასამართლო უნდა იყოს სწორედ ისეთი, რომელიც თავის საქმეს აწარმოებდეს იმ ენაზე, რომელზედაც აქაური ხალხი ლაპარაკობს.

დღეს, ამ მომენტში, ჩვენში ისეთი არა ნორმალური მოვლენა არის, რომ დღეს გურიაში, სამეგრელოში, იქ სადაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ერთი სიტყვაც არ იციან რუსულად, იქ საქმე სწარმოებს რუსულ ენაზე. ასეთ არა ნორმალურ მოვლენას, რასაკვირველია, ხალხი შხარს ვერ დაუტერს და გაუზზობს ამისათნა სასამართლოს.

იუსტიციის სამინისტრო შეეცადა იმ წესით შეეცაღა ყვეღა ეს დაწესებულებანი, რომ მართღა ხალხოსნური ყოფიღიყო, რომ მართღა ყოფიღიყო აღჭურვიღი ხალხის ნდობით, და რომელიც გამოიწვეღდა რაც შეიღლება ნაკლებ ხარჯებს ხალხში.

რასაკვირვეღიღა, მთავრობამ ამისათნავე მიღღო მხედვეღობაში ჩვენი სახელმწიფოს ფინანსური მღგობარღობა. და რაც შეეღება მომავალს, ის რაც ცოტად მიინც დააწვებაბეგრად ხალხს, მომავღღში, როცა მოწესრიგდღბა ფინანსები, სრულიად უნდა მოსპობიღი იყოღს.

ამ ნიღდაღზე იყო აშენებული და წარმოდგენიღი კანონპროექტი მემორიგებელ მოსამართღეთ ინსტიტუტის შესახებ, ასევე იყო წარმოდგენიღი კანონპროექტი ნაფიც მსაჯულთღა ინსტიტუტის შესახებ. სწორედ დღეს თქვენ საყურადღებოდ წარმოავიდღათ უმთავრესი კანონპროექტი, რომელიც უნდა საძირკვღად ჩაეყაროს მთელს სასამართღოს.

მემორიგებელ მოსამართღეთღა ინსტიტუტის შესახებ, უნდა მოგახსენოთ, რომ ყოვეღად შეუძღლებღიღა მართღ-მსაჯულღების სათნადღო დონეზე დაყენება, თუ უმთავრესად ნაფიც მსაჯულთღა ინსტიტუტი, ეს მთავარი ღღრღი სასამართღოსი, არ არის წესიერად მოწყობიღი. ამიტომ, რომ ხალხს უმთავრესად ამ ინსტიტუტთან უზღბღა მღშობღა, ხალხი უმთავრესად დაბად სასამართღოსკენ მიიწვეღს. მისი ეკონომიური ინტერესები, მისი მთელი ყოფღ-ცხოვრება, სწორედ ამ სისტემღზე არის დაყარებული. და თუ ჩვენ ამას ვერ დავაყენებთ სათნადღო ნიღდაღზე, დანარჩენი დაწესებულებანი სასამართღოს უწყებისღ როგორც გინდათ ბეცნიერულ ნიღდაღზე დაყენეთ, — სრულიად უფარღისი გამოდგბღა.

მე სიტყვას არ ვაგრძელებ, არ ვავიღმორებ იმას, რაც უკვე იურიდიულ კომისიის წარმომადგენღმა სთქვღ; სახელდობრ, თუ რღ წესზე არის აშენებული ეს კანონპროექტი, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ



ეს კანონპროექტი უაღრესად დემოკრატიულია, და აქ დაცული უფლება როგორც ქართველ ერისა, აგრეთვე უმცირესობისა, ჩვენი მოქალაქეებისა, ისე ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლეებისა.

ებლა, ნება მიბოძეთ, რომ ეს ჩემი მოკლე მოხსენება გავათავო და ორიოდ სიტყვით ვაგიმეორათ ის გეგმა იუსტიციის სამინისტროსი შესახებ სასამართლოს გაეროვნებისა, სასამართლოს ნაციონალიზაციას რომ ეძახიან.

ჩემის აზრით, სასამართლო სახელმწიფოებრივ ნიადაგზე არის დაყენებული. ამ რამდენიმე დღის წინ, თქვენ უკვე მიიღეთ კანონ-პროექტი ნაციონალიზაციის შესახებ. უკვე თბილისის გუბერნიაში ბრძანება მაქვს გაცემული, რამოდენიმე, თითქმის ყველა გამოძიებული დანიშნულია იმისთანა, ვინც იცის ქართული ენა, მიუხედავად ეროვნებისა, რამდენიმე კაცს ამ 30 გამოძიებლებისთვის, შეიძლება 4—5 კაცს პირველ ხანებში გაუქირდეს საქმის წერილობითი წარმოება, მაგრამ სიტყვიერად ენა ყველა მათგანმა კარგად იცის, ამ რამდენიმე კაცში, ამ 4—5 კაცს პირდაპირ მიცემული აქვთ, განსაზღვრული აქვთ ვადა, რომ შეისწავლონ ქართული ენა და რადგანაც სალაპარაკო ენა მშვენიერად იციან, წერილობითაც შესძლონ საქმის წარმოება.

მოკლე ხანში, ბრძანებას გამოცემ, რომ სავალდებულო იქნება ყოველი ახალი გამოძიება დაიწყონ ქართულ ენაზე. ასეთივე მდგომარეობის შესაქმნელად უკვე ზომები არის მიღებული ქუთაისის გუბერნიაში. ამ მოკლე ხანში, ამ ორი კვირის განმავლობაში, ყოველი ახალი საქმის გამოძიება უკვე მოხდება ქართულ ენაზე. ამისთვის რასაკვირველია საჭირო იყო შეგვექმნა ჩვენ არა მარტო სავაგომიძებლო ინსტიტუტი, არამედ საბრალმდებლო ინსტიტუტშიც უნდა მომზადრყო ასეთი რეორგანიზაცია. ამისთანა რეორგანიზაცია მოხდა, ე. ი. რეორგანიზაცია კი არ არის ეს, ეს არის ისეთი პირებით შეესება ინსტიტუტისა, რომელთაც შეუძლიანთ სრულიად თავისუფლად ქართულ ენაზე საქმის წარმოება.

სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისის საოლქო სასამართლოში უმრავლესობა და დიდი უმრავლესობა, იმ მოსამართლის გარდა, რომელნიც საქმისთვის საჭირონი არიან, რომელნიც გაცნობილნი არიან საქმეებთა, დანიშნულია ქართველები. ამიტომ ჩვენ ამ მოკლე ხანში, ერთი ორი თვის განმავლობაში. საოლქო-სასამართლოში, საქმის წარმოება, ყოველი საქმის წარმოება, ახალი საქმის წარმოება სისხლის სასამართლოში გვექნება ქართულ ენაზე.

ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ საჭირო არის არა მარტო ის, რომ სისხლის სასამართლოში საქმის წარმოება იყოს ქართულ ენაზე, არამედ ისიც, რომ საერთოდ განსაზღვრულ მომენტში, ყოველი ქალაქი, როგორც სამოქალაქო საქმეებისა ისე სისხლის სასამართლის უქველად უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე, მაგრამ ეს სამოქალაქო საქმეები შეიძლება ჩვენ ცოტა დავვიგვიანდეს, არა იმ მოსაზრებით, რომ მოსამართლეები არა გვეყავს, არამედ იმისთვის, რომ ერთგვარი წინასწარი მუშაობა არის საჭირო აუცილებლად, თუ ჩვენ გვინდა რომ მართლა სასამართლო სასამართლოს ჰგავდეს. რომ არ იყოს აგრეთვე ტერმინების სხვა და სხვანაირი გაგება, საჭიროა, რომ იმ კომისიამ, რომელიც დიდი ხანია დაარსებულია სამინისტროს მიერ, შეიმუშავოს



ყველა ის ტერმინები, რომელიც პრაქტიკულად ყოველ მოსაქმეობაში  
 თვის საჭიროა ყოველ დღე. ტერმინოლოგიის შემუშავებაში კომისიაში  
 მონაწილეობას იღებენ პროფესორები, იურისტები და შეცნიერები.  
 საჭიროა, რომ ყველაფერი დაბეჭდილი იყოს, რომ პრაქტიკულ იუ-  
 რისტს საშუალება ჰქონდეს ამ ტერმინებით ინელმძღვანელოს.

მე ხშირად ვამიგონია ჩვენს მოწინააღმდეგეებისაგან და არამარტო  
 მოწინააღმდეგეებისაგან, ისე კერძო ლაპარაკში, რომ სასამარ-  
 თლოს გაერთოვნება და ქართული ენა სასამართლოში შეიძლება მხო-  
 ლოდ მაშინ, როცა მთელი თექვსმეტი ტომი რუსეთის კანონებისა  
 ქართულად იქმნება გადათარგმნილიო. უნდა მოვახსენოთ, რომ ეს შემუ-  
 დარი აზრი გახლავთ: ყოველ იურისტისათვის საქმარისი არის, რომ  
 მას ჰქონდეს შემუშავებული ტერმინოლოგია, მაშინ ყოველი მათგანი  
 თავისუფლად შესძლებს ქართულ ენაზე საქმის წარმოებას. მე დარწმუ-  
 ნებული ვარ, რომ შეიძლება ქუთაისის სასამართლოში, ბრძა-  
 ნება რომ გამოვეცე, დღესვე ქართულ ენაზე საქმის წარმოება.  
 მაგრამ ეს სახიფათოა იმისთვის, რომ ტერმინების სპა და სხვანაირად  
 გაგების გამო, შეიძლება ერთგვარი არევე დარევე შეიქმნას. სჯობია  
 მოიცადონ რამდენიმე დღე, რამდენიმე კვირა, რომ შემუშავდეს ტერ-  
 მინოლოგია, და დადგეს რიგიან ნიადაგზე ქართულ ენაზე საქმის წარ-  
 მოება.

რასაკვირველია, რაკი გამოძიება, რაკი საოლქო სასამართლოში  
 საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება, ასევე იქმნება მოპროცებელ  
 სასამართლოში. კანონპროექტი აუცილებლად მოითხოვს, რომ  
 მოპროცებელ მოსამართლეთ საქმეები აწარმოვონ იმ ენაზე, რომელიც  
 ხალხს ესმის.

ჩემთან ამ მოკლე ხნის განმავლობაში რამდენიმე დებუტაცია  
 იყო. იყვნენ რაკიდან, ლეჩხუმიდან და ქუთაისის გუბერნიიდან. ყველანი  
 ერთსა და იგივეს მოითხოვდნენ: გამოგზავნეთ იმისთანა კაცები, ვისაც  
 ჩვენი ენა ესმის, ვისი გადაწყვეტილება, და საქმის წარმოება ჩვენ  
 შეგვიძლიან ვავიგოთო.

მართლაც აუტანელი მდგომარეობაა.  
 თუ დღეს კანონპროექტი გავა, მისი დიდი მნიშვნელობა ის იქნება  
 რომ დღეს სასამართლო ეროვნულ ნიადაგზე იქნება დამყარებული.  
 იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ეროვნულ ნიადაგზეა დამყა-  
 რებული, მაშინ წარმოგვიდგენთ კიდევ ერთ ძლიერ მნიშვნელოვან კა-  
 ნონპროექტს. ეს გახლავთ უმაღლესი სასამართლო დაწესებულება სა-  
 ქართველოში, საკასაციო სასამართლო.

როგორც სახის იქმნება ის სასამართლო, მომავალში, შემდეგში, —  
 ვერაფერს მოვახსენებთ, იმიტომ რომ ეს უფრო კონსტიტუციის საკით-  
 ხია, ვიდრე იურიდიული საკითხი. არის იმისთანა კონსტიტუციები, სა-  
 დაც ამისთანა უმაღლესი სასამართლოს სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი  
 უფლებები აქვს მინიჭებული.

იუსტიციის სამინისტრო ფართოდ არ სვამს ამ კითხვას. ჩვენთვის  
 აუცილებლად საჭიროა შექმნა უმაღლესი სასამართლოსი, როგორც  
 ინსტანციისა, რომელიც ყველა კანონებს აღწუსხავს, დღეს არ არსე-  
 ბობს ისეთი ინსტანცია, რუსეთში რომ იყო სენატის სახით. იგი ჩვენ-  
 თვის ენა უკვე მკვდარია და აღარებელი საქმე სრულიად ვერ იწარ-  
 მოებს, რადგანაც ასეთი დაწესებულება არ არსებობს. ეს იქნება მაშინ,



როდესაც ეს კანონპროექტი შემოტანილი იქნება და ეროვნულ-დემოკრატიული კომისიის ბუზაობა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს, როცა მეორე ეტაპს უნდა მივყოთ ხელი, სახელდობრ ამ კანონპროექტის ცხოვრებაში გატარებას, რაც მეტად საჭირო არის.

მე ღრმად მწაჰს, რომ, თუ კი ჩვენ სათანადოდ მოვაწყობთ, და მივაწოდებთ ხალხს კარგა მოწყობილ ადმინისტრაციას, შეიძლება ბევრი გაუგებრობა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს, მთლად ავიშოროთ თავიდან.

ამასთან მე შოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, ეროვნულ საბჭოს გაეუზიარო, რომ როდესაც გაეროვნებაზე, ნაციონალიზაციაზე მოგახსენებთ, თქვენთან ვერ დავფარავ, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში დროებით წარმოება შეიძლება იყოს როგორც ქართულ ენაზე, აგრეთვე რუსულ ენაზე. ეს შეიძლება მოხდეს თბილისის საოლქო სასამართლოში, პალატაში, თბილისის საკასაციო დაწესებულებაში. არსებობს მთელი რიგი საქმეებისა, რომელიც დაწყებულია რუსულ ენაზე, რომელთა გამოძიება არის რუსულ ენაზე, და სამოქალაქო საქმეებიც რუსულ ენაზე არის დაწყებული. ამისთვის საქმის წარმოება ქართულ ენაზე ძნელია, და საჭიროებაც არ მოითხოვს. ბუნებრივია, რომ საქმე უნდა დამთავრდეს სწორედ იმ ენაზე, რომელზედაც არის დაწყებული, როდესაც ამისთანა საქმეები მიიწურებიან, ახალი საქმის წარმოება ქართულ ენაზე დაიწყება, ამასაც ერთგვარი დრო უნდა. მაგრამ ეს არც ისეთი დიდი რამეა, დიდ მნიშვნელოვანი, რომ ვისმეს წინააღმდეგი რომ ჰქონდეს მაშინ სასამართლოში რუსული ენა მოისპობა და ადგილს დაუთმობს ქართულ ენას, ქართულ ენაზე საქმის წარმოებას.

ასევე უნდა იყოს უთუოდ პალატაში, მაგრამ პალატაში ეს პროცესი შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს, რადგანაც სოხუმის ოლქში დღევანდელ ბირობებში, ყოველად შეუძლებელია გაეროვნება იმ სახით, როგორც ჩვენ გვესმის, ე. ი. ქართულ ენაზე საქმის წარმოება. სოხუმის ოლქის მცხოვრებლების და თვით აფხაზების საქიროება თბილისობს, რომ დატოვებული იქმნეს დროებითი რუსული ენა, სწორედ ეს რუსული ენა და ამასთანავე ასეთი შემადგენლობა გვეყოლება დროებით, პალატას ექვემდებარება მეორე ინსტანცია, რომ იქ ერთგვარი რუსული შემადგენლობაც ვიყოლიოთ. ამის გარდა, ამ გამონაკლისის გარდა, რომელიც, ერთის მხრივ, გამოწვეულია გარდამავალ ხანით, მეორეს მხრით ერთგვარი აუცილებლობაა, დროებითი აუცილებლობა, ამის გარდა მე ვფიქრობ, რომ ძალიან მოკლე მომავალში, მთელ საქართველოს ტერიტორიაზე სამართალი იქმნება ქართულ ენაზე. მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც უპაცირობის მოსახლეობაა, არა ქართველი მოსახლეობა, იმათ მიცემული იქმნებათ ყოველგვარი გარანტია მათ უფლებების დაცვისა.

მე იმედი მაქვს, რომ დღეს აქ შემოტანილ კანონპროექტს ეროვნული საბჭო დაუჭერს მხარს, და მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ერთის მხრივ, იუსტიციის სამინისტროს, მეორეს მხრივ შინაგან საქმეთ, სამინისტროს, დროზე მივაწოდოთ მოწყობილი ადმინისტრაციული აპარატი, ჩვენ სახელმწიფოს მომავალს არავითარი საფრთხე არ მოელის.



თავმჯდომარე ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? არააინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი. **ს. ივანიცკი** (მოამხსენებელი) კითხულობს.



**კანონ-პროექტი. მომრიგებელი მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ.**

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზედ შემოღებულ იქნას 1912 წლის 15 ივნისის კანონი ადგილობრივ სასამართლოს გარდაქმნისა შემდეგის დამატებით და ცვლილებით.

პირველი. ყოველი მაზრა (ოლქი) და აგრეთვე ქალაქი დაყოფილია სამომრიგებლო უბნებად.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არააინ. მაშასადამე ეს მუხლი მიღებულია.

**რ. ივანიცკი** (კითხულობს) მეორე. რამოდენიმე სამომრიგებლო უბანი შეადგენს სამომრიგებლო ოლქს.

**შენიშვნა:** ქ. ტფილისი შეადგენს ცალკე სამომრიგებლო ოლქს. თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არააინ. მაშასადამე მიღებულია.

**რ. ივანიცკი** (კითხულობს) მესამე მუხლი. სამომრიგებლო უბანს განაგებს უბნის მოსამართლე სამომრიგებლო ოლქს განაგებს მორგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია.

**რ. ივანიცკი** (კითხულობს) მეოთხე მუხლი. მომრიგებელ მოსამართლეთ ირჩევს:

ა) ქალაქებში, რომელთაც საკუთარი მოსამართლენი ყათ ქალაქის საბჭო, დანარჩენ ედგილებში სამაზრო საერობო კრება.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არააინ. მაშასადამე მიღებულია.

**რ. ივანიცკი** (კითხულობს) ბ. თუ ორი ან რამოდენიმე მაზრა შეერთებულია ერთ სამომრიგებლო მაზრად, თვითეულ მაზრისათვის მომრიგებელ მოსამართლეთა დაწესებულ რიცხვს ირჩევს საერობო კრება ამ მაზრისა.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არააინ. მაშასადამე გთხოვთ წაიკითხოთ შენიშვნა.

**რ. ივანიცკი** (კითხულობს)

**შენიშვნა:** ერობის შემოღებამდე მომრიგებელ და საპატრო მოსამართლეს და სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს ნიშნავს იუსტიტიის მინისტრი. ერობის განხორციელების შემდეგ ამ პირთა უფლება გაუქმებულია ჩაითვალება იმ დროიდან; როცა არჩეული მოსამართლენი შეუდგებიან თანამდებობის აღსრულებას.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? ამ შენიშვნისა არააინ. მიღებულია. შემდეგი მუხლი.

**რ. ივანიცკი** (კითხულობს)

5) სამომრიგებლო უბნის საბოლოოდ განსაზღვრა და უბნების მოსამართლეთა შორის განაწილება ეკუთვნის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას.





თავმჯდომარე, ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შენსეულსა და სხვათა შორის

რ. ივანიძე (კითხულობს)

საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთა და ყრილობათა რიცხვს განსაზღვრულია ცხრილით რომელიც კანონსა აქვს დართული.

თავმჯდომარე ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ მაშასადამე მიღებულია.

რ. ივანიძე (კითხულობს) საუბნო მომრიგებელ და საპატიო მოსამართლეთ შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ორივე სტესის ქვეშევრდომთაგან.

თავმჯდომარე, ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ვასილ წერეთელს.

ვ. წერეთელი (დამ. ერ. დემ.) ბატონებო, მე ვფიქრობ, რომ არჩევნების წესი მისაღებია, მაგრამ ამავე დროს მოგვხსენებათ, რომ მოსამართლეს სახელმწიფოებრივი ფუნქცია აქვს, მოსამართლე უნდა იყოს დარაჯი სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და კანონიერობისა. მართალია მაგალითად, ამერიკაში შეიძლება მოსამართლე იყოს ამორჩეული და არა დანიშნული, მაგრამ ამითი იქ არაფერი დაუშავდება ვინაიდან ამერიკაში ყველა მოქალაქეს აქვს მოქალაქეობრივი შეგნება. ჩვენში კი, როცა ასეთი სოციალისტური ანარქია შეფობს, მე გგონია, აუცილებელია რომ მოსამართლე იყოს არჩეული ან უმაღლესს სასამართლოს მიერ, ან ვიდრე არ არის უმაღლესი სასამართლო მინისტრის მიერ.

მოგ ხსენებთ, რომ ჩვენში გამოიშველი ძალები და ელემენტები აღემატებიან შემაწევრებელ და შემაკავშირებელ ძალებს, მაშასადამე ჩვენ სახელმწიფოებრივობისათვის დიდი საფრთხე იქნება თუ ერობა აირჩევს მოსამართლეს და ერობავე დაამტკიცებს. ვინ იცის როგორ მოსამართლეს აირჩევს ერობა?

ამიტომ, დამოუკიდებელ ნაციონალ დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შემომაქვს წინადადება, რომ მე-9 მუხლი უნდა იყოს შევსებული შემდეგი დამატებით: მომრიგებელ მოსამართლეებს ამტკიცებს ერობის მიერ არჩეულ კანდიდატთაგან რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო, ხოლო მის დაარსებამდე იუსტიციის მინისტრი.

თავმჯდომარე, ვის ნებავს სიტყვა ამ წინადადების შესახებ? არავის. მომხსენებელი.

რ. ივანიძე (მომხსენებელი). იურიდიულმა კომისიამ ბევრი დრო შიშობდა ამ კანონ-პროექტის გარჩევას, რამდენიმე სტომოზე დეტალურად განვიხილულ იქნა იგი. კომისიამ აწონ-დაწონა კანონ-პროექტის ყოველივე მუხლი და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენ სახელმწიფოს დემოკრატიულ წესებს სწორედ შეეგუება ამ მუხლში აღნიშნული წესი. საქმარისია, რომ მოსამართლეს ირჩევდეს და ამტკიცებდეს ის დაწესებულება, რომელიც ბაღის ნამდვილი მისწრაფების გამოხატველია. იმის მტკიცებას, რომ ბევრი საქალაქო და საეროთო თვითმართველობანი ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებსა და განკარგულებას. მე გგონია, საბჭოს წევრი ვ. წერეთელი ჰკულისხმობდა კერძოდ ქალაქ თბილისის თვითმართველობის შედგენილობას, მაგრამ, ჩემის აზრით, არც ისეთი საშინელია თბილისის თვითმართველობა, როგორცაა ჰგონია ბ. ვ. წერეთელს, თუ მივიღეთ შედგენილობაში ჩვენი სახელმწიფოს დამრღვევი და გამოიშველი ძალებისა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის არსებული პროპორცია. საქართველოს რესპუბ-



ლოცის მოწინააღმდეგეთა რიცხვი რომ შევადაროთ მეორე ნაწილს იმ ხმონებისგან შევღვარს, რომელნიც საქართველოს ეროვნულ საბჭოში სხედან, საფიქრებელია, რომ შიში იმისა, რომ ქალაქის თვითმართველობა აირჩევს ისეთს მსაჯულს, რომელიც სინიღისიერად არ აღასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, — ზედ მეტია.

თავმჯდომარე. ნება მიბოძეთ კენჭი ვუყარო ვასილ წერეთლის წინადადებას: მომრიგებელ სასამართლოებს ამტკიცებს რესპუბლიკის ერობის მიერ არჩეულ კანდიდატთაგან უმაღლესი სასამართლო, მხოლოდ მის დაარსებამდის იუსტიციის მინისტრი.

ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე ეს წინადადება უარყოფილია. ვინ არის წინააღმდეგი მე-მე მუხლისა? მეცხრე მუხლი მიღებულია. მუხლი მეათე.

რ. ივანავა. (კითხულობს). ვინც 25 წლის არის. თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე ეს მუხლიც მიღებულია.

რ. ივანავა. (კითხულობს).

11. მიუღია უმაღლესი ან საშუალო განათლება.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

რ. ივანავა (კითხულობს). შენაშესა: განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება არჩეულ იქნეს ვისაც ზემოაღნიშნული განათლება არა აქვს მიღებული, (მხოლოდ საკმარისი პრაქტიკული ცოდნა აქვს).

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

რ. ივანავა. (კითხულობს).

12. ვინც გარდა ქართულისა იცის ის ენა, რომელზედაც უბნის უმრავლესობა და თვალ-საჩინო უმცირესობა ლაპარაკობს (20%/მ).

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

რ. ივანავა (კითხულობს). შენაშესა; თუ წინა წერილში განსაზღვრული ენების მკოდნე კანდიდატების საკმარისი რიცხვი არ აღმოჩნდა, მოსამართლემ გარდა ქართულისა უნდა იცოდეს მომრიგებელ უბანში მცხოვრებთა უმრავლესობის ენა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

რ. ივანავა (კითხულობს). 13. მომრიგებელ და საპატიო მოსამართლეთ არ შეიძლება არჩეულ იქნეს:

ა) ვის შესაბამაე სწარმოებს გამოძიება ან სამართალში მიცემული როგორც იმ დანაშაულობისათვის, რომელსაც თანასდევს უფლების აყრა ან შეზღუდვა, აგრეთვე ქურდობისათვის, მატყუარობისათვის, მოვასზეობისათვის, მინდობილი ქონების მითვისებისათვის ან გაფლანგვისათვის, ნაპარაფე ქონების გადაშალვისათვის, ყიდვისათვის და დავირავეებისათვის, თუ იცოდა, რომ ქონება ნაპარაფია ან ვინმესაგან მატყუარობით არის მიღებული, მექრთამეობისათვის და მუქართ დატყუებისათვის (ВЫМОГАТЕЛЬСТВО).

თავმჯდომარე. ვის ჰნებაეს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ჩერქეზიშვილს.

ბ. ჩერქეზიშვილი. (ს. რ.) უფლებათა შეზღუდვას უნდა ჰქონდეს რაიმე საპატიო მიზეზი. ამ მხრივ ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას მუხლის დონს სადაც და ლაპარაკი ვერშემძლებობაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ



განიჩვევს სხვა და სხვა „ვერსემძღობა“. შესაძლოა ამ ვერსემძღობას ვერსემძღობის მიხედვით მივხედოთ, რომელიც საზოგადოთ არაერთაა — ისეთი სასიათი, ან სარჩული არა ვქონდეს, რომელიც გამოიწვევს ამისთანა უფლებების აყრას, ამ შემთხვევაში, ესეთი იურიდიული ტერმინალოგია არის ნახშირი, ისე როგორც, უბედურების გამო ვერსემძღობა. ამიტომ დამატებას ვაძლევეთ ამ მუხლს და ვთხოვლობთ იყოს მიღებული „არა უბედურ შემთხვევის გამო“.

თავმჯდომარე. ვის ჰნებავს სიტყვა ამ დამატების შესახებ? არავის მომხსენებელი.

მომხსენებელი რ. ივანიძე. წარმოდგენილი კანონ-პროექტის ეს მუხლი არის მე-24 მუხლის მაგიერ და § დონიც პირდაპირ ვთარგმნეთ. იქ არის ნათქვამი: „ОБЪЯВЛЕНЬ НЕСОСТОЯТЕЛЬНЫМЪ ДОЛЖНИКОМЪ“ (მე-21 მუხლის მე-3 §). მართალია, იურიდიულ მეცნიერებამ იცის ორი ხასიათის დეკლარაცია, განსაზღვრული ტერმინებით გამოხატული: „ЗЛОСТНЫЙ ДОЛЖНИКЪ“ და „НЕСОСТОЯТЕЛЬНЫЙ ДОЛЖНИКЪ“; პირველ, როდესაც ვალს განზრახ არ იხდის მოვალე ან თვითონ მოაწყო ვალის გადახდებისათვის შეუძლებელი პირობები და მეორე — უსახსრობის გამო, ან უბედურ შემთხვევის გამო. იმ უბედურ შემთხვევის გარდა, რომელიც მოიყვანა საბჭოს წევრმა ჩერქეზიშვილმა, დასაშვებია აგრეთვე ისეთი შემთხვევა, რომელიც შეიძლება არც ბოროტ განზრახვად გამოვძინარეობს და არც უბედურ შემთხვევიდან გამოვძინარეობდეს უსათუოდ. რადგანაც შემთხვევითა შორის საზღვარის დადება ხშირად შეუძლებელი ხდება და, რომ სამწუხარო შედეგებს არ წავაწყდეთ, ჩვენ ავიჩვენებთ ისეთ ხალხს, რომელნიც სამაგალითო იქნებიან ყოველის მხრივ. მოსამართლე-კანდიდატის, სახელის, მისი ზნეობის გარშემო არ უნდა იყოს არც გაუგებრობა, არც მით უმეტეს რაიმე მითქმა-მოთქმა. კანონმდებელი გულისხმობს იმასაც რომ უბედურ შემთხვევის გარდა, რომელზედაც მიგვითითა საბჭოს წევრმა ჩერქეზიშვილმა, უსათუოდ არსებობს ბოროტ-მოქმედობაც, და აგრეთვე ისეთი მოვლენაც, რომელიც სატყეოდ ჰხდის ვერსემძღობას. სახელმწიფოს ინტერესი გვაეალებს ჩვენ ამ პირობებში მყოფ ადამიანს არ მიეცეს უფლება მოპრიგებელ მოსამართლეთ არჩევისა.

თავმჯდომარე. მაშასადამე, თქვენ თანახმა ბრძანდებით, რომ ეს დამატება უარყოფილი იყოს.

მომხსენებელი. დიახ!

თავმჯდომარე. საბჭოს წევრმა ჩერქეზიშვილმა შემოიტანა ასეთი დამატება: „არა უბედურ შემთხვევის გამო“. ვინ არის წინააღმდეგი ამ დამატებისა? შესწორების წინააღმდეგ არის 20. ეს შესწორება უარყოფილია. სხვა შესწორება არ არის. ვინ არის წინააღმდეგი 12 მუხლისა? მიღებულია.


რ. ივანიძე (კითხულობს) შეცხვრეტე მუხლი. ვისაც ამავე დანაშაულობისათვის სასამართლოსაგან სასჯელი აქვს გადაწყვეტილი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია შემდეგი მუხლი.

რ. ივანიძე (კითხულობს) მუხლი 14. ვინც ჩამოთვლილი არიან მე 3-ე და 4 ნ. 21 მუხ. სასამართლოს უწყებ. დაწეს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

რ. ივანიძე (კითხულობს) მუხლი 15. ცალკე სია იმ პირთ, ვისაც



უფლებმა აქვს არჩეული იყოს მოპრიგებელ მოსამართლეო და არჩეული შეიძლება იყოს ყოველი პირი, ვინც უნდა იქნას ჩამოსაყდრებული პირობებს აკმაყოფილებს.

თაქმედოშარე. ვის მსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი. არაინ მაშასადამე მიღებულია.

ა. ივანეცა (კიბხულობს) მუხლი 16. როგორც საუბრო მოპრიგებელ მოსამართლესთან ისე მოპრიგებელ ოლქში საქმე სწარმოვბს ქართულ ენაზე.

თაქმედოშარე. ვის მსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ა. ივანეცა (კიბხულობს) მუხლი 17. იმ ოლქებში და უბნებში, სადაც არა ქართველი ერის ნაწილი შეადგენს მცხვრებთა თვალსაჩინო უმცირესობას ყოველგვარი ქალაქის შეტანა სასამართლოში და სიტყვიერი განმარტება შეიძლება მოხდეს უმცირესობის ენაზე, ამავე ენაზედ უფლებმა აქვთ უსასყიდლად მოითხოვონ ყოველგვარი სასამართლოს წესით განსაზღვრულ ქალაქების ასლი. თუ მრალდებული, ან ორივე მხარე სამოქალაქო საქმეში მოითხოვენ საქმის გარჩევას უმცირესობის ენაზე და მოსამართლემ ან მოსამართლეთ ყრილობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერი წარმოება უნდა მოხდეს ამ ენაზედ. ჩემს თავს ვალადა ვრაცხ რეგლამენტის მე-32 მუხლის ძალით წაეკითხო იურიდიულ კომისიის ერთი წევრის ა. მაჭავარიანის განსაკუთრებული აზრი მე 16-17 მუხლის შესახებ (კიბხ.) იურიდიულ კომისიის წევრის იოსებ მაჭავარიანის განსაკუთრებული აზრი მოპრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის კანონპროექტის მე-17 და მე-18 მუხლების შესახებ:

საქმის წერილობითი წარმოება მოპრიგებელ სასამართლოში არა ქართულს ენაზე ყოველად მიუღებელია.

ერთის მხრით, ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს, მეორეს მხრით, აზნაირ წარმოების აუცილებლობას სასამართლოს დანიშნულება არ მოითხოვს.

სასამართლო უნდა დაუახლოვდეს ხალხს. ამ მიზნისათვის კი საქმარისა საქმის სიტყვიერი წარმოება სასამართლოში იმ ენაზე, რომელიც ვახაგებია, როგორც მოსამართლისათვის, ისე დანტერესებულ პირთათვის; მით უმეტეს, თუ ამ უკანასკნელი ეძლევათ უფლებმა ყოველგვარ სასამართლოს წესით განსაზღვრული ქალაქის წარდგენისა და სასამართლოდან გატანისა. ასეთი საქმის წარმოება სავსებით აკმაყოფილებს და ყოველ მხრივ უზრუნველ მყოფს იმ მოქალაქის პირად ინტერესებს, რომელსაც სასამართლოში აქვს საქმე.

რაც მოქალაქის ამ პირად ინტერესს აღემატება, ის შეადგენს უკვე სასკლშიწიფოარავ ინტერესს. და ასეთი სახელმწიფოებრივი მიზანი შეუძლია განახორციელოს არა ქართველმა არა საქართველოს სასამართლოში, არამედ თავის სახელმწიფოში, ან იმ საქართველოს ნაწილში, რომლის მკვიდრი ის არის და რომელსაც მინიჭებული ექნება საქართველო სავან ავტონომიური წესწყობილების უფლებმა.

სასამართლოში საქმის წერილობით წარმოება ეს არის მთელი სახელმწიფოებრივი კულტურა სამართლისა, და საქართველო არც მოვა-



ლენა და არც შეუძლია მას შეუქმნას ყოველ იმ ერს, რომლის წინაშეც მადდენლებიც ცხოვრობენ ჩვენ ტერიტორიაზე, ასეთი კულტურა.

საქმის წერილობითი წარმოება მომრიგებელ სასამართლოებში უცხო ენებზე აუცილებლად გამოიწვევს ასეთსავე წესს საქმის წარმოებისას სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთი კანონი, არამც თუ მოითხოვს მოხელეთა რიცხვის და ხარჯების გამრავალკეცებას, რაც აუტანელ ტვირთად დააწვება ჩვენს სახელმწიფოს. არამედ გაართულებს და მეტის მეტად გააგრძელებს სასამართლოში საქმის წარმოებას. ამით ხომ თითქმის მოისპობა ჩქარი სასამართლოს პრინციპი და ისე აირვეა იუსტიციის სამინისტროს საქმეთა წარმოება, რომ იქ წესიერების დამყარება შეუძლებელი გახდება.

თუ მომრიგებელ სასამართლოებში ასეთი უფლება დავთმო არა ქართულ ელემენტებს, რა ნება გვექნება იგივე უფლება არ მივანიჭოთ მათ ყოველივე სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში. და თუ სასამართლოებში, სკოლებში, აღმასრულებელ და საკანონმდებლო დაწესებულებებში იმდენ ენაზე ვაწარმოვეთ საქმეები, რამდენ ენაზე მოლაპარაკე მოქალაქე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება, მაშინ საქართველოს სახელმწიფო კი არ იქნება ეს, არამედ რაღაც უცნაური ბაბილონის გოდოლი, რომლის დაშლის და დანგრევის დღეები თითებზე დასაავლეელი გაგვიხლება.

ამისათვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის განშტკივების მიზანი ივალდებს ეროვნულ საბჭოს უარპყოს მე-17 მუხლი წარმოდგენილ კანონპროექტისა.

ხოლო არა ქართველ მოქალაქის ინტერესი, რომ დაკულ იქნას სავსებით, თანახმად დემოკრატიულ საღ პრინციპებისა, საქიროა მეთვრამეტე მუხლი შესწორდეს ამ რიგად:

იმ ოლქებში, ან უბანში, სადაც არა ქართველი ერის ნაწილი შეადგენს საქართველოს ქვეშევრდომთა უმრავლესობას, ან მნიშვნელოვან უმცირესობას, არა ნაკლებ ოცი პროცენტისა, ყოველგვარი ქალაქის შეტანა სასამართლოში და სიტყვიერა განმარტება შეიძლება მოხდეს მათს ენაზე. ამავე ენაზე უფლება აქვთ განსაკუთრებულ სასყიდლის გაუღებლად მიიღონ ყოველ გვარი სამართლის წესით განსაზღვრული ქალაქდების პირი. თუ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული, სამოქალაქო საქმეში კი ორივე მხარე მოითხოვს საქმის გარჩევას არა ქართულ ენაზე და მომრიგებელ მოსამართლემ ან მოსამართლეთა ყრილობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერა წარმოება შეიძლება მოხდეს ამ ენაზე.

დ. ჩაქვაიანი. (რად. დებ.) ბატონებო, მე სავსებით ვიზიარებ ბ. მაჭავარიანის წინადადებას. მე ვფიქრობ, რომ 17 მუხლი უნდა ამოიშალოს.

ჩვენ, როდესაც წამოვაყენეთ პრინციპი უნიტარულ რესპუბლიკისა, რომლითაც გვინდა რომ შევქმნათ ერთი მთლიანი სახელმწიფო, მთლიანი ყოველის მხრივ, ვფიქრობდით, რომ დასაშვები არ არის, შრავალი ენა, განსაკუთრებით სასამართლოში, რადგან ბ. მაჭავარიანის თქმის არ იყოს, კანონმდებლობა საზოგადოდ, არის ერთ გვარი მართლაც ძლიერი კულტურა. თუნდაც რომ მოვიწადინოთ ამ დარგში შევქმნათ ჩვენ უნიტარულ რესპუბლიკაში შრავალ სხვა და სხვა ენაზე გამოხატული კულტურა, ამისთვის ჩვენ არც ძალია შეგვეწვეს და არ ვაღდებულ-



ნი ვართ, რომ იგი შეეკმნათ. ეს არც არის სასურველი, რადგანაც ჩვენ გვინდა ერთი უნიტარულ რესპუბლიკის შექმნა. ისეთი წესი, რა წესიც მე-16 მუხლია აღნიშნული, მე-16 მუხლი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო აღიარებს რამდენიმე სახელმწიფო ენას. ეს ჩვენში არც არის და ფიქრადაც არ მოსდით პატარა ერების, უმცირესობის წარმომადგენლებს. ამდენი იმპირესობის წარმომადგენლებთან, მართლაც და როგორ შეგვიძლიან ფაქტიურად ვაწარმოოთ საქმე. მაგალითად: თათრულ ენაზე, სომხურ, აფხაზურ და სხვა ენებზე? ჩვენ მოგვიხდება საქმის წარმოება იმ ენებზე რომლებსაც არაერთი კულტურა არა აქვთ. ამისთანა მოვალეობის დაკისრება კი სრულიადაც არ შეესაბამება, იუსტიციის სამინისტრო, არ შეეფარება სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ ეს მუხლი უნდა იყოს ამოშლილი.

ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს დავიცვაოთ ინტერესები ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლების და ამისთვის საჭარისია 18 მუხლი რომელსაც ადგენს ბ. მაქავარიანი. ამ მუხლში, საცხებით თუ არა, რამდენათაც კი შეიძლება დაცული არის უმცირესობის ინტერესები. ბატონებო, როდესაც მომივივარს საშუალება აქვს სიტყვიერათ განმარტოს თავისი სანივარი, სადაც მას უფლება აქვს ქალღი თავის ენაზე შეიტანოს და მიიღოს, როდესაც მომივივარს შეუძლიან სიტყვიერი წარმოება სასამართლოში თავის ენაზე მოითხოვს, მე ვფიქრობ, რომ ამაზე შეტის მიცემა ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას არ შეუძლიან, მე-17, მუხლის დატოვება მე ვფიქრობ, რომ არც სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეეფერება. თუ ეს მუხლი მივიღეთ, ამ შემთხვევაში დაცული იქნება ის პრინციპი თითქოს ჩვენს სახელმწიფოებრივ ენა არის. ეს მე მგონია არც ერთი ეროვნულ სახელმწიფოებრივი ენა არის. ეს მე მგონია არც ერთი ეროვნულ საბჭოს წევრს არ ჰსურს ეს. ამიტომ მე-17 მუხლი უნდა ამოიშალოს. თანამდებრივ. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს საშინ დადიანს. ს. დადიან. (ს. ფ.) ბატონებო, ჩვენ ყოველ ჩვენს ქვევასა და მოქმედებაში უნდა ვებლძმდვანელობდეთ ერთი პრინციპით. ნუ მოქცევი სხვას ისე, როგორც არა გსურს, რომ მოგგვცნენ სხვები, ან პირიქით—მოექცევი სხვას ისე, როგორც გსურს რომ სხვა შენ მოგექცეს. ამ პრინციპით, ამისთანა თვალსაზრისით რომ მოვიკიდოთ ამ საკითხს, უფველია ჩვენ არ შეგვიძლიან წინააღმდეგნი ვიყოთ იმისი ამ რომ ეროვნულ უმცირესობას ყოველ დღე ჰქონდეს საშუალება განახორციელოს თავისი უფლება ენის მხრივ და საერთოდ ეროვნულ, პოლიტიკურ და კულტურულის მხრივ, მე-17 მუხლში აღნიშნულია ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე რაიონში უმრავლესობა ეკუთვნიან არა ქართველ ერს. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ უკველად მართალნი არიან ისინი, ვინც ამბობენ რომ ამ მუხლის მიღებით საქმე გართულდება, ეროვნულ უმცირესობათ, რომელნიც ჩვენ ფარგლებში არიან, უნდა ჰქონდეთ საშუალება რომ თვალყური ადევნონ თავის საქმეს, ყოველ დროს, ყოველ წუთს. ასეთი საშუალება უნდა მიეცეთ მათ. ჩვენ ამიტომ, არსებითად ამ მუხლის წინააღმდეგნი არა ვართ.

მე მსურს მხოლოდ სარედაქციო, მაგრამ არა მარტო სარედაქციო, შესწორება მინდა შევიტანო. აქ არის ნათქვამი: იმ ოლქებში, სადაც არა ქართველი ერის ნაწილი შეადგენს მცხოვრებში თვალსაზრისით უმცი-





რესობას და სხვა — ჩემის აზრით, შესაყრეში შეიძლება არა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეც იყოს. ამიტომ ამ რთულ მდგომარეობის მაგიერ უჭრებელია ვიხმაროთ: სადაც არა ქართველი ერის წარმომადგენელი შეადგენს რესპუბლიკის მოქალაქეთა თვალსაჩინო უმცირესობას.

ეს ერთი.

მეორე ადგილი იმავე მუხლისაა. აქ-სწერია საქმის წარმოება.

მოგვხსენებთ, რომ საქმის წარმოება უფრო გამოხატავს კანცელიარიის საქმის წარმოებას, ეს ის არის, რასაც რუსები უწოდებენ *судопроизводство*. უკეთესი იქნება დავარქვათ სასამართლოს წარმოება. თითონ საქმის წარმოება რომ სწარმოებს ქართულად — ეს თავის თავად ცხადია, და გამომდინარეობს იმ კანონის მუხლიდან, რომელიც ჩვენ დავამტკიცეთ.

შემდეგ, ამ მუხლს ჩვენ გვსურს ვაუკეთოთ 2 შესწორება — შენიშვნა. ამ მუხლში არის აღნიშნული, რომ სასამართლოში საქმის წარმოება მიმდინარეობს 2 ენაზე, ქართულ ენაზე და უმცირესობის ენაზე. არ შეიძლება რომ აქ მოხდეს ერთგვარი კოლიზია 2 ტექსტა შორის. უკვეელია ორივე მოპირდაპირე მხარე, ისარგებლებს იმ ტექსტით, რომელიც მათ თავის სასარგებლოდ მიიჩნით, რომ კოლიზია არ მოხდეს, და მოსამართლე უზერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს, გამოურკვევლობის გამო, ჩვენ წინასწარ განსაზღვრული უნდა გვექნდეს, რომ ოფიციალურ ტექსტად უნდა ითვლებოდეს ქართული ტექსტი, რომ მოსამართლემ უწინვე იცოდეს რომელ ტექსტს მისცემს უპირატესობას.

მეორე უზერხულ მდგომარეობაში შეიძლება ჩადგეს თითონ სამინისტრო და ეს ორგანიზაცია, რომელიც ირჩევს მოსამართლეს. ამ მუხლის ძალით, ისე გამოდის, რომ მოსამართლემ უკვეელია უნდა იცოდეს ორივე ენა, ქართული და თვალსაჩინო უმცირესობაშიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პირდაპირ პრაქტიკული საკითხია. ჩვენ ანგარიშს უწევთ რომ შესაძლოა დაედგეთ ისეთ შესაძლებლობის წინაშე, რომ არა გვყავდეს მომზადებული კანდიდატები. შესაძლოა მოხდეს, რომ ქალაქის თვითმართველობას, ერობის თვითმართველობას, და სხვა დაწესებულებებს რომელიც ირჩევენ მოსამართლეს, არა ჰყავდეთ კანდიდატი, რომელიც შესძლებს საქმის წარმოებას, როგორც ქართულ, აგრეთვე სხვა ენაზე, — ასეთ შემთხვევაში ჩვენ საჭიროთ მიგვიჩნია მივიღოთ შემდეგი შესწორება: თუ ვინცობაა უბანში არა ჰყავთ ისეთი კანდიდატი, რომელსაც შეეძლება საქმის წარმოება უმცირესობის ენაზე — საქმე ქართულ ენაზე სწარმოებს.

ამ შემთხვევაში ჩვენ მე-17, მუხლი სრულიად მისაღებ და სამართლიან მუხლად მიგვიჩნია.

თავმჯდომარე. გთხოვთ გაიმეოროთ თქვენი წინადადება (დიდიანი კითხულობს თავის შესწორებებს).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთნის საბჭოს წევრს, იოსებ მაჭავარიანს.

იოსებ მაჭავარიანი. (ერ.-დემ.) ბატონებო, როგორც იუსტიციის მინისტრმა მოგახსენათ, სახელმწიფოებრივ ნიადაგზე მტკიცედ დამყარება სასამართლოსი შეიძლება მაშინ, როდესაც სასამართლო რაც შეიძლება ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს და როდესაც იგი იქნება ხალხის ნდობით აღჭურვილი.





სასამართლო რომ დაუახლოვდეს ხალხს, ამისათვის საყენებლად საქმარისია, რომ სიტყვიერი წარმოება ხდებოდეს ისეთს ენაზე, რომელიც გასაგებია, როგორც მოსამართლესათვის, ისე იმ პირთათვის, ვისაც სასამართლოსთან აქვთ საქმე. იმ პირს, რომელიც დაინტერესებულია საქმით, შეუძლია ერთი რამ მოითხოვოს კიდევ: ქალაქლების წარდგენა სასამართლოში და მათი გადატანა მისთვის გასაგებ ენაზედ.

ეს სრულიად საქმარისია. და ამ მოთხოვნისთვის საყენებლად აკმაყოფილებს მეთვრამეტე მუხლი, თუ შეიტანთ იმ ჩემს შესწორებას, რომელიც აქ წაკითხულ იქნა მოპხსენებლის მიერ.

რაც აღემატება მოქალაქის ამ პირად ინტერესს, ის უკვე შეადგენს სახელმწიფოს ინტერესს. და კეთილ მოქალაქეს არა აქვს უფლება წინააღმდეგს ამ მხრივ სახელმწიფოს, თუ სასამართლო, როგორც სამართლის მატარებელი, მას აკმაყოფილებს.

სახელმწიფოებრივი უზენაესობა მოითხოვს, სწორედ მისივე განმტკიცებისათვის, რომ ყოველივე მის დარგში საქმე სწარმოებდეს სახელმწიფოებრივ ენაზე.

თუ რომელიმე არა ქართველი საქართველოს ქვეშევრდომი ეძიებს საქართველოს სასამართლოში არა სასამართლოს გარანტიებს, არამედ იმ ერის სახელმწიფოებრივ უფლებებს, რომელსაც ის ეკუთვნის, მაშინ იმან სასამართლოს კი არ უნდა მიმართოს, არამედ საქართველოს დამფუძნებელ კრებას, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამფუძნებელი კრება არის აღქმადილი უზენაესი უფლებით მიანიჭოს ამა თუ იმ ნაწილს საქართველოსას ავტონომიური უფლებანი.

სასამართლოში საქმის წერილობითი წარმოება ეს არის მთელი სახელმწიფოებრივი კულტურა სასამართლოსი, — და საქართველო არც მოვალეა და არც შეუძლია მას შეუქმნას ამნაირი კულტურა ყოველ იმ უცხო ერს, რომლის წარმონადგენლებიც სცხოვრობენ მის ტერიტორიაზე.

თქვენ მოახლოვებითი სინამდვილით მიინც წარმოგიდგენიათ, რა სურათი გადაგეშლებათ თვალ წინ იმ საქართველოს ტერიტორიის ნაწილზედ, რომელიც, მავალითად, ოსებით არის დასახლებული, თუ იქ თქვენ შესძელით სასამართლოებში საქმის წერილობითი წარმოება ოსურ ენაზე? იქნებ თქვენ ოსებს ფართო ავტონომიას აძლევთ? ან იქნებ სულ უარსაც ამბობთ ამ ტერიტორიაზედ? (ხმაურობა, სიცილი) რა გაცინებთ? ეხლა იცინით? აკი რეალურ მოსახლეობის პრინციპით ჩვენი სოციალისტები აქამდის სჯიჯგნიდნენ საქართველოს სხეულს, ანაწილებდნენ და ურიგებდნენ მეზობლებს! თქვენგან ეს კიდევ მოსალოდნელია. თუ ასეთ დანაშაულობის წინაშე თქვენ არ შეჩერდით, ეს სხვა საქმეა. და თუ ავტონომიური სახელმწიფოებრივი უფლებები არ ექმნება ასეთ საქართველოს ნაწილებს მინიჭებული, მთელ საქართველოს სასამართლოებში საქმის წერილობითი წარმოება უნდა იქნეს სახელმწიფოებრივს ქართულ ენაზედ.

ვისაც ესმის, რა არის სასამართლო, ის დამეთანხმება, რომ თუ ჩვენ იმდენ ენაზე ვაწარმოვეთ სასამართლოებში საქმეები, რამდენ ენაზე მოლაპარაკე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება, მაშინ ჩვენ მოვსპობთ ჩქარ სასამართლოს პრინციპს, ვინაიდან მოსამართლე ერთ სახელმწიფო ენაზე ერთ დღეში თუ მოასწრებს ათი საქმის გარჩევას, ორს ენაზე ვერ მოახერხებს ორი საქმის გათავებასაც, და ამასთან ჩვენ



მეტათ გავაძვირებთ თვით სასამართლოს აპარატს, ვინაიდან დადგენილებმა მეტი მოსამართლენი, მეტი მოხელენი და სხვა დასამსახურებელი მძიმე ტვირთად დააწვება ხალხს.

ამით ჩვენ სასამართლოს კი არ დაუახლოვებთ, არამედ დავაშორებთ ხალხს.

ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც რაღაცას გავუზრბით, ვიღაცას გვეშინია. შონობის უფელ ქვეშ ჩვენ დავლარობდით სულიერად. იმედი აღარ გვაქვს ჩვენი თავის. ქალაქუნებათ ვიტყვით. ეპვი გვეპარება ჩვენს მოქალაქეობრივ სიღარბისლევში, ჩვენს სამართლიანობაში.

ეს ასე რომ არ იყოს, რათ აიხსნება ასეთი გადაკარბებული ქალაქუნობა არა ქართველ მოქალაქეთა წინაშე, რომელიც აღწევს ჩვენი სახელმწიფოებრივ ინტერესების უარყოფამდე.

სამსონ დადიანმა ბრძანა: არ უნდა ისურვო სხვისთვის ის, რაც შენთვის არ გინდაო.

ქვეშაირიტი ბრძანებაა! სხვა ხალხსაც ი'ე უნდა მოგეყრათ, როგორც ვინდათ, რომ თქვენ მოგეყრონ. მაგრამ იმაზე მეტს, რაც ჩვენ გვაქვს, სხვა ხალხს ვერ მივსცემთ. და განა ცოტას ვაძლევეთ? ჩვენთვის განა ვისმეს როდისმე მოუცია ის, რასაც ჩვენ სხვას ვაძლევეთ. რუსეთი რომ ჩვენ ისე მოგეყრობოდა, როგორც ჩვენ საქართველოში მცხოვრებ უცხო ზირთ ვეყრობით, რუსეთს რომ ჩვენთვის ის უფლებები მოუცია, რასაც ჩვენ სხვებს ვაძლევეთ, განა ჩვენ ბედნიერნი არ ვიქნებოდით.

მაგრამ ჩვენ მაინც გვეშინია ჩვენი თავის: ვაი თუ სხვებმა დაეპარათ. და ამისათვის ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი მიეცეთ, მეტის-მეტობა კი არ ვარგა. ამაზე ქართველს დიდი ხანია უთქვამს: მეტის მეტი—რეტის რეტოა, რეტისანობა კი სახელმწიფოს შენობის დროს გამოიწვევს კეტისანობას. და ვისაც სურს ხალხის რისხვის კეტი არ მოხედეს თავში, სახელმწიფოს შენობის დროს იყოს ფრთხილად და ახსოვდეს ქართველი ერის ინტერესი.

ერთი სიტყვით, როდესაც სასამართლოს საქმის სიტყვიერ წარმოების უფლებას თავის ენაზე ანიჭებთ ანა ქართველს, ამით საესებო აკმაყოფილებთ იმის ინტერესს ენის მხრივ სასამართლოში. ამაზე მეტი ე. ი. წერილობითი საქმის წარმოება უკვე შეადგენს სახელმწიფოს ინტერესს, მის პრივილეგიას. ამ უფლების დათმობა ჩვენ არ შეგვიძლია და არც გვაქვს უფლება დაუთმოთ იგი.

ამასთან ნუ დაივიწყებთ, რომ თუ თქვენ დააკანონეთ საქმის წერილობითი წარმოება მომჩივებელ სასამართლოებში უცხო ენებზე, ეს აუცილებლად გამოიწვევს ასეთსავე წესს საქმის წარმოებისას საპელაციო და საკასაციო სასამართლოებში.

თუ თქვენ ეს კანონი მიიღეთ, მაშინ რა ნება გექნებათ თქვენ იგივე უფლება არ მიანიჭოთ არა ქართველ ერის ნაწილებს ყოველივე საქართველოს სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში. და თუ სასამართლოებში, სკოლებში, საკანონმდებლო და აღმასრულებელ დაწესებულებებში იმდენ ენაზე ვაწარმოვეთ წერილობით საქმეები, რამდენ ენაზე მოლაპარაკე მოქალაქე საქართველოს ტერიტორიაზედ აღმოჩნდება, მაშინ საქართველოს სახელმწიფო კი არ იქნება ეს, არამედ რაღაც უცნაური ბაბილონის კოდოლი, რომლის დაშლის და დანგრევის დღებზე დასათვლელი შეგვექნება.



რომ ასეთი საშინელი შეცდომა არ ჩავიდინოთ, მე მინდა შეთქმულ-  
 მტერ მუხლში შეიტანოთ ასეთი შესწორება: იმ ოლქებში, სადაც არა ქართული ერის ნაწილი შეადგენს საქართველოს შემადგენ-  
 ღობითა უმრავლესობას, ან მნიშვნელოვან უმცირესობას (არა ნაკლებ  
 ოცი პროცენტისა), ყოველ გვარი ქალაქის შეტანა სასამართლოში  
 და სიტყვიერი განმარტება შეიძლება მოხდეს მათს ენაზედ. ამავე ენა-  
 ზედ უფლება აქვთ განსაკუთრებულ სასყიდლის გაულებლად მიიღონ  
 ყოველ გვარი საშართლის წესით განსაზღვრული ქალაქდების პირი. თუ  
 სისხლის სამართლის საქმეში კი ორივე მხარე მოითხოვს საქმის გარჩე-  
 ვას არა ქართულ ენაზე, და მომრიგებელ მოსამართლემ, ან მოსამართ-  
 ლეთა ყროლობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერა წარმოება შეიძლება  
 მოხდეს ამ ენაზედ.

რაც შეეხება მეჩვიდმეტე მუხლს, საქართველოს სახელმწიფოებრი-  
 ობის განმტკიცების მიზანი უკარნახებს ეროვნულ საბჭოს უარპყას იგი.  
 თავმჯდომარე. თქვენი შესწორება შეიძლება მოექცეს 18 მუხლს.  
 თას. შაქავარიანი. რაც შეეხება მე-17 მუხლს, ამ მოსაზრებით მე  
 იმ აზრისა ვარ. რომ უარყოფილი უნდა იყოს.

აეს. ბაჩაშაშვილი. (ს. თ.) სოციალისტ-ფედერალისტის ფრაქციის  
 წარმომადგენელმა სამსონ დადიანმა მხარი დაუჭირა მე-17 მუხლს.

მე, როგორც წევრი ამ ფრაქციისა, მოგახსენებთ შემდეგს.

რომ უარი ესთქვათ და არ მივიღოთ ეს მე-17 მუხლი, მე ვგონია  
 რომ შეიცვლება მთელი შინაარსი და დედა აზრი იმ კანონპროექტისა,  
 რომელიც ჩვენ უნდა მივიღოთ. ერთად ერთი უმთავრესი მუხლი ამ  
 კანონპროექტისა მე-17 მუხლი არის. აქ ბრძანდებოდნენ ნაციონალ  
 დემოკრატების და რადიკალ-დემოკრატების წარმომადგენელნი, რომ  
 მიღება ამ მუხლისა ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრივ ინტერესებს.  
 ჩემის აზრით სრულიად ადვილი დასამტკიცებელია ის, რომ ეს ასე არ  
 არის. ვაითვალისწინეთ ის, რაც აქ მოგახსენათ ოესტიციის მინისტრმა.  
 ადვილად დასამტკიცებელია ისა, რომ ინტერესები სხვა ეროვნულ ერის  
 უმცირესობათა დაცული უნდა იყოს. ეს პრინციპიალური მოსაზრებაა,  
 ეს პარდაპირ პრინციპიალური საკითხია.

ბ. შაქავარიანი მსჯელობს, რომ რა უშავს როგორც უმრავლეს-  
 სობას, ისე უმცირესობას ეძლევა უფლება თავის ენაზე შეიტანოს ქა-  
 ლაღი და გამოიტანოს განაჩენი. მის ენაზე იქნება სიტყვიერი წარმო-  
 ება საქმეებისა. ამაზე მეტს არ მოითხოვს მათი ინტერესები, ამაზე მეტი  
 არ მიეცემათო. მე ვკითხულობ რატომ ამაზე მეტი არ მიეცემათ? ნუ  
 თუ იმიტომ, რომ ის არის სხვა ერის წარმომადგენელი და სხვა და  
 სხვა გარემოების გამო აქა სცხოვრობს? ნუ თუ იმიტომ უნდა მოეს-  
 პოთ საშუალება, რომ არამც თუ თავიანთ ენაზე ილაპარაკონ, არა თუ  
 სიტყვიერი წარმოება სასამართლოში იყოს მათ ენაზე, არამედ მათ ენა-  
 ზე იყოს წერილობითი წარმოება. სასამართლოში ამ წერილობითი წარ-  
 მოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. არა ნაკლები მნიშვნელობა საქმის  
 სიტყვიერ წარმოებაზე. ნუ თუ ჩვენთვის გასაგები არ არის, რომ რო-  
 დესაც მისდინარ სასამართლოში საქმარისი არ არის მარტო ზეპირად  
 საქმის წარმოება, სწორედ წერილობითი წარმოება უნდა იყოს უმცო-  
 რესობის ენაზედაც, მისთვის, რომ მომჩივარმა უნდა გაიგოს რას  
 სწერს მოსამართლე, როგორ დასწერა, ან და ის, რაც მოსამართლემ  
 უკვე დაწერა როგორაა განმარტებული. ეს უნდა იცოდეს იმ პირმა.



რეზოლუციის მიმართა სასამართლოს. და რა ნებით, რა უფლებებზეა დაფუძნებული თქვენ მათ ეს უფლება?

მე მგონია, რომ სწორედ დიდი აზრი, შინაარსი, დადებითი მხარე ამ კანონპროექტისა ის არის, რომ ეს კანონი მოპრივებელ მოსამართლემ დაუახლოვოს ხალხს და დაიკვას სწორედ ხალხის ინტერესები. სასამართლო უნდა იყოს ხალხისათვის. ხალხი კი არ უნდა დაუახლოვდეს სასამართლოს, არა, სასამართლო უნდა დაუახლოვდეს ხალხს. სწორედ სახელმწიფოს მოვალეობა არის დააყენოს მოსამართლედ ისეთი ადამიანი, რომელსაც შესწავლილი აქვს უმკიცრესობის ენა მით უმეტეს, რომ არჩევნები ხალხური არის და უნდა ამოირჩიონ ისეთი ადამიანი, რომელიც მიზანს შევსებუბა რომელიც ახლო სდგა ხალხთან, რომელიც შეილია იმ ხალხისა. თქვენ გინდათ რომ მოსამართლე დავაშოროთ ხალხს, და ჩვენ გვინდა კი არ დავაშოროთ, არამედ დაუახლოვოთ, დაუეკავშოროთ ხალხს, ჩვენ გვინდა, რომ ამ კანონით მოსამართლე იყოს ხალხისა, თუ ხალხის მოთხოვნილებებზე დაედგით, ის პრინციპალოურად მოითხოვს, რომ მიღებული იყოს ეს კანონი.


აქ რა მოსაზრებაა საწინააღმდეგო? სწორედ ფინანსიური მოსაზრება. სწორედ ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ფინანსიურ მოსაზრებას არა ვითარი ანგარიში არ გაუწიოთ. სახელმწიფო მოვალეა, რომ წყურვილი ხალხისა დააკმაყოფილოს. სახელმწიფო მოვალეა იბოუნოს წყარო რითიც დააკმაყოფილოს მოქალაქეთა წყურვილი, მე მგონია ეს ფინანსიური მოსაზრება მისაღები არ არის.

მეორე მოსაზრება, როგორც აქ წამოაყენეს ის გახლდათ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგებო, და იმიტომ, სხვა და სხვა ენაზე წერილობითი წარმოება არ უნდა იყოს შემოტანილიო.

მე მგონია, რომ თუ საქმის ვითარება ასეთი არის, თუ ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ ტერიტორიაზე მოსახლეობს სხვა და სხვა ხალხი, — ეს ისეთი ფაქტია, რომელსაც უნდა ანგარიში გაუწიოთ. მე მგონია, რომ სახელმწიფოს ინტერესებიც შებღალული არ იქნება რადგან სახელმწიფო ენად ცნობილ იქნება ერთად ერთი ენა, სახელდობარ ქართული ენა. იურიდიულმა კომისიამ სწორედ ამას გაუწია ანგარიში და დაადგინა, რომ ყოველ შემთხვევაში, საქმის წარმოება უნდა იყოს ქართულ ენაზე. მაშასადამე სახელმწიფო ენა დაკულია. მაშასადამე ვაწარმოვებთ საქმეებს ქართულ ენაზე. უმკიცრესობათ ინტერესებიც უნდა იყოს დაკული. მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ თავისი აზრი, თავისი მისწრაფებანი გამოხატონ არა მარტო ზეპირად არამედ წერილობით. მაშასადამე დაკულია სახელმწიფოს ინტერესები, აგრეთვე დაკულ უნდა იყოს უმკიცრესობის ინტერესები. ეს წინააღმდეგი კი არ არის ეს შედეგება არის ორი მოთხოვნილებისა.

ამისდა მიხედვით, ჩემის აზრით, ეს საკითხი პრინციპალოური საკითხია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არას ჭბით ამას უარს არა ჰყოფს. ეს შეღაბუა არის დემოკრატიული პრინციპებისა და იმ ხალხის ინტერესების, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. ეს არის ეს ხალხური დაწესებულება და სწორედ ხალხისა უნდა იყოს. თუ ეს ხალხის დაწესებულებაა, შეუძლებელია, რომ ჩვენ მოუსპოთ მათ საშუალება.

აქ ბატონმა მაჭავარიანმა სთქვა, რომ სხვა და სხვა ერები არა კულტურული ერებიო. ეს შეუძლებელია ვაღიაროთ. მე მგონია, რომ



სხვა ერები ისეთივე კულტურის მატარებელი არიან, როგორც ჩვენ და აქ ჩვენ არავითარ უპირატესობა არა გვაქვს. როგორ გინდათ, რომ ბორჩალოში, სადაც უმრავლესობას შეადგენენ თათრები და სხვა ერები წერილობით წარმოება საქმისა იყოს ქართულ ენაზე, და არ იყოს თათრულ ენაზე?

როგორ გინდათ რომ ოსებში არ იყოს საქმის წარმოება ოსურ ენაზე? ნუ თუ თქვენ ოსებში ვერ იპოვნით ისეთ წარმომადგენელს, რომელიც აწარმოებს საქმეს ქართულ და თავის მშობლიურ ენაზე? მე ვადასტურებ, რომ სწორედ ამისთანა პირებს ვიპოვნით. თუ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ვერ ვიპოვნეთ ამისთანა პირებს, მაშინ, რასაკვირველია ერთად ერთი შენიშვნა შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში, სამინისტროს, ან სხვა და სხვა დაწესებულებებს ეძლევათ უფლება მოძებნონ იმისთანა პირი, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. თუ შესაძლებელი არ იქნება, რასაკვირველია, წარმოება იქნება იმ ენაზე, რომელიც სახელმწიფო ენად არის მიღებული, ქართულ ენაზე. მაინცა და მაინც ეს მართო შენიშვნა იქნება, მაგრამ ძირითადი მუხლი, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები დაკმაყოფილებულნი იყვნენ, მიღებული უნდა იყოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთგული საბჭო მ მუხლს შეუცვლელად მიიღებს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს არსენიძეს.

რ. არსენიძე. (ს. დ.) უკვე ბევრი ითქვა ამ მუხლის დასაცავად.

მე ბევრს არ მოგახსენებთ, მხოლოდ ერთ შეგნიშნავთ. თუ დავდგეით სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე, (თორემ დემოკრატიულ თვალსაზრისით, რომ ეს მუხლა უდავოა, მე მგონია ამაზე ლაპარაკი არ დაგვირდება), უნდა ვიკითხოთ, ამ შემთხვევაში, შეეგუება ეს პრინციპი გამოადგება ჩვენს სახელმწიფოს თუ ავნებს მას.

ასე სვამენ ხოლმე ზოგიერთი კითხვას და ასე უყვართ გაბათილება ჩვენი დემოკრატიულ პრინციპებისა.

ჩვენ ვამბობთ, რომ ამ შემთხვევაში სრულიად საუკეთესოდ არის დატული სახელმწიფოებრივი პრინციპი.

რას ნიშნავს სახელმწიფოებრივი პრინციპი? იმას, რომ ყველა მოქალაქე ამ სახელმწიფოსი იყოს და გრძნობდეს თვის თავს ნამდვილ მოქალაქედ და არ გერად. მოქალაქემ უნდა იგრძნოს, რომ ეს საქართველოს რესპუბლიკა ისეთივე სახელმწიფოა მისი ისეთივე მფარველი არის მისი, როგორც დანარჩენ მოქალაქეებისა. უმთავრესად, რასაც სახელმწიფოსაგან ხალხი გაჰოვლის. ეს არის სამართალი, ადმინისტრაცია. მფარველობა მან უნდა მოძებნოს იქ, სადაც ეს სამართალია. მე ვამბობ რომ, თუ სადმე რაიმე უკმაყოფილება იბადებოდა მცხოვრებთა შორის, ეს ხდებოდა იქ, სადაც საქმე ქართულ ენაზე არ წარმოებდა და საქმის წარმოება იყო რუსულ ენაზე მაშინ, როდესაც გლეხი კაცი საქართველოში ვერ ლაპარაკობდა რუსულ ენაზე.

რომ, ეს ქალაქს ეხებოდეს მაშინ შეგვეძლო არც კი დავგვესო ეს საკითხი. თუ კაცს სწავლა აქვს მიღებული სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს. აქ კი სწორედ უმთავრესად ილახება ინტერესი მასისა; კითხვა ეხება მასსას, გლეხობას, მუშებს. იმათ კი რუსული საყველბუროდ



თუ იციან. შევიძლება სახელმწიფოებრივობისა ჩაზე გაიგოს. ჩვენ ხომ არ შეგვიძლიან მოვითხოვთ სახელმწიფო ენის ცოდნა. ასეთი მოთხოვნილება რუსეთის თვითპრობლემაა. ან დაუკენებია და ვერც ჩვენ დაუკენებთ არა ქართველ წარმომადგენლებს.

ჩვენ შეგვიძლიან გავლენის მოხდენა ჩვენ სახელმწიფო ტერიტორიაზე არა იმით, რომ ჩვენ შევხლუდავთ მათ უფლებას არამედ იმით, რომ მათ უფლებას მიეცემათ. (ჩიქოვანი: რამდენადღ შესასობელია). შესაძლებელია ყველა იმის მიცემა რასაც ქართველები მოითხოვენ. ნათქვამია ქადა რაი ხელით იქნებაო. ვერ იტყვიან რომ შეუძლებელია უბანში 2 ენაზე დაიწეროს საქმე, რ ენაზე ხდებოდა საქმის წარმოება. ამით სახელმწიფო არ დაინგოვდა. არის პატარა სახელმწიფოები, სადაც არამთუ მსახელმწიფო არსებობს და ეს არაქვენი შეუძლებლობის ფინანსურად, ტესნიკურად და ეკონომიურად. არ ამზობს სახელმწიფოს, მაგალითად, შვეიცარია. რატომ უნდა შევქმნათ ჩვენ ასეთი შეუძლებლობა უბნებისათვის? თქვენ იცით, რომ პრაქტიკულად მხოლოდ რამდენიმე უბანში იქნება საქმის წარმოება არა ქართულ ენაზე და განა ეს დაანგოვებს და გაანადგურებს ჩვენს სახელმწიფოს?

სახელმწიფოებრივი ინტერესი იმას კი არ მოითხოვს, რომ მოქალაქეს უფლება აართავთ და ამას დააწეროთ იარლიკი სახელმწიფოებრივი. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება მოკლებულს უფლება მისცეთ.

თქვენ ამზობთ, რომ ეს არ შეგვიძლიან ტენიკურ მოხაზვებით. რომ რაიმე უპრაბტესობას ვერ მისცემთ ჩვეს მოქალაქეს ყველაზე თვისი სახელმწიფოებრივი მოვალეობა უნდა ასრულოს. და თუ იმან რაიმე გადაუხვია თქვენ ხომ მას მოლაღატის იარლიკს მიიკრავთ შუბლზე? ზოგ ასე მოეკეცეით ყველა იმას ვინც მოვალეობას გადაუხვეს? მაშასადამე ვისაც მოვალეობა აქვს იმას უფლება უნდა მიუანიკოთ. განსაკუთრებით ეს უფლება უნდა მიეცეს გლეხებს, დაბალ ხალხს მასსაც, რადგანაც უბნის სასამართლო უმთავრესად მათთვის არის. მას არ აქვს შეძლება ყოველთვის მიპართოს ვეკიღს, და გაიგოს თუ რა არის დაწერილი მოსამართლის მიერ. ამ სასამართლო უფლებით სარგებლობა მაშინ შეიძლება როდესაც საქმე იმის ენაზე იწარმოება.

აი ამიტომ ეს უფლება უთუოდ უნდა დარჩეს.

თუ ეს არსებობდა. რაც შეეებაზე 17 მუხლს აქ შესწორება იყო შემოტანილი სოციალ-დემოკრატიისტების ფრაქციის მიერ.

მე ჩემის მხრივ ვეზობი ამ შესწორებას, გარდა მეროე შენიშვნისა. მეროე შენიშვნაში სწვოია: თუ მოსამართლემ უბნისა არ იცის უბნის უმრავლესობის ენა საქმე უნდა აწარმოვოს ქართულ ენაზე. მე მგონია ეს სრულიად ზედმეტია და ამ შემთხვევაში არ არის საჭირო. რომ ენა მან უნდა იცოდეს, ეს უკვე მიღებულია მე-11 მუხლში. დანიშნეთ ისეთი მოსამართლენი, რომელთაც რაიმე განათლება მიუღიათ. რომ მათ ენა არ იცოდნენ ეს ბალიან იშვიათი არის. ეს ხდებოდა ზოგიერთ რუს ჩინოვნიკებში. რომელთაც ქართული ენა იცოდნენ. მაგრამ წერა არ შეეძლოთ. აი რაიმე ისეთი ხალხი, რომ ეს ენა იცოდნენ, თუ კი ჩვენ დავიწყებთ ასეთ ინტელიგენტების ძებნას, რომელთაც ენა იციან, ჩვენ ყოველთვის შევიძლებთ მათ გამოჩნებას. განა, მაგალითად, რუსეთში არ არის ვერ აირჩიეს ისეთ პირს, ნუ თუ ვერ





გამოძებნიან ისეთ პირს, რომელსაც შეეძლება საქმე აწარმოოს ქაღალდით  
 თულ ენაზე, და სომხური და ქართული ენა კი იტოვდეს უცვლელად.  
 ველია იქნებოდა, უნდა იქმნენ, შიშ უმეტეს რომ საქმის წარმოებაში  
 სეკნდერული შემუშავება არ დასჭირდება ვინაიდან მეც ვეთანხმები,  
 იმ შენიშვნას, რომ ოფიციალურად ტექსად, ოფიციალურ ენად ითვ-  
 ლებოდეს ქართული ენა. მაშინ არა ოფიციალური თარგმანი იქნება.  
 ეს არის საქმით რამ ყველა მსოფრედელთვის შესაძლებელი იყოს გა-  
 გება ყველა საკითხების.

ამისთვის მე ვაპირებ რომ ჩვენ უნდა მივიღოთ ეს მუსლი იმ შე-  
 ნიშნით, რომელიც შემოიტანა სოც.-დემოკრატიის ფრაქციის წა-  
 რთვითადგენელმა, გარდა იმ შენიშვნისა, რქმელიც მოითხოვს რომ მო-  
 სპარტულეს მიეცეს უფლება წერილობით ამ ენაზე არაწარმოვოს საქმე.  
 ეს საველდებულო უნდა იყოს. რაკი საველდებულოა მისთვის ენის  
 კოდნა მან საქმეც უნდა აწარმოვოს ამ ენაზე, რაცგან დიდ დაბოკო-  
 ლებას არ წარმოადგენს წერილობით საქმის გატარება.

საქმელადაა: სიტყვა ველთენის საბჭოს წევრს მკვეთრიანს.  
 ფილის მკვეთრიანს. (ერ.-დემ.) მე მინდა იფიქროდე სიტყვით უკა-  
 სუბო ბ. იასე ბარათაშვილს და ბ. არსენიძეს.

ბარათაშვილი ბრძანებს: სახელმწიფო ბარჯებს არ უნდა შეუშინ-  
 დეთო.

კარგია, როდესაც არაფრის გეშინია, ეს რაინდულ ი თვისებაა. მიუ-  
 ხედავთ იმისა, რომ დიდი და უკიდურესი დემოკრატები და სოციალის-  
 ტები ვართ, ეს თავდაზნაურული რაინდობა მაინც შეგვიძინია და ან-  
 გარიმის უკოდინარობის წინაშე უშიშროად ვდგევართ. მაგრამ სახელმ-  
 წიფოს ინტერესი მაინც მოითხოვს ხან და ხან ფულის ანგარიშს. არც  
 იმის ხსოვნა გვაწყენს, რომ ეს ბარჯები პარდაპირ დემოკრატას აწვე-  
 და და ხალხის ჯიბის ხარჯზე უშიშრობა ჩვენს რაინდობას კოტა უხერ-  
 ხულ მდგომარეობაში აყენებს.

ბარჯებს კი გაცილებით შედუმეტს გამოიწვევს ეს კანონი: საქარ-  
 თელოს მრავალ ნაწილებში ყოველმა მოსამართლემ უნდა აწარმოვოს  
 საქმე მართულ ენაზე და პარალელურად ან სომხურ, ან რსულ, ან თა-  
 თორულ, ან თურქულ, ან ლეკურ, ან ბერძნულ, ან რუსულ, ან აფხა-  
 ზურ ენებზე. სასამართლოში საქმის წერილობითი წარმოება თუ დაე-  
 კანონეთ ყველა ამ ენებზე, ცხადია სასამართლოები უნდა გაფარავლოთ,  
 მოთელეების რიცხვი უნდა გაუორგეცოთ, ამდენ ენებზე წერაში სუა-  
 რებელი დრო უნდა დაეკარგოთ, ამბობენ დროც ფულითა. ქალაქს  
 და მელანს აღარ ვიანგარიშებთ, დუმე მუხბალტერია მგონი ამის ანგა-  
 რა მსაც ათოულობს, და რაც ყველაზე უფრო საგულღისშია და საძნე-  
 ლოა ეს ის, რომ ამდენ სხვა და სხვა ენის მკოდნე იუკონტრებას მოვ-  
 ნა მეტად გაგვიჭირდება. კიდევაც რომ გადავთავოთ ეს გაქორვენა და  
 მოენახოთ საქმარისი რიცხვი ასეთ მოსამართლეებისა, მათი შენახვა მა-  
 ინც მეტი დავგიჯდება, ვინაიდან ყოველთვე საჯნის ფასი იმდენად იწევს  
 მაღლია, რაქდენადაც ის საქმროა და ამასთან მწელი საშოვნია.

ბარათაშვილი ბრძანებს: რა ნება ვეაქვს ბორჩალოში თათრულათ  
 არ ვაწარმოვოთ საქმეო. თათარმა უნდა წაიკითხოს რა დაწერა მოსა-  
 მართლემო. საიდან მოკვიტანოსთ თათარმა ეს შეაქთახვა, როდესაც  
 ბორჩალოში ათ კაცსაც ვერ აპოვებთ, საშუქაროთ, რომ წერა-კითხვა

მეტყუანაშვილ მინორცინს და მინდევს: დიდი რა იმდენ მე არც კოდნ



არ იცოდეს. და კიდევაც რომ იცოდეს, აკი ჩემის შესწორების ნიშნად, როგორც მოგახსენეთ წინა სიტყვაში, მასწინება აქვს, რომელიც სიტყვიერად მოისმინოს თავის ენაზე მთელი საქმის წარმოება, არამედ გაიტანოს სასამართლოდან ყოველივე ქალაქი თავის ენაზე. დაჯდეს და იკითხოს. ვინ უშლის?

მე მოგახსენეთ ისიც, რომ საქმის წერილობითი წარმოება სასამართლოში არის ერთგვარი კულტურა. ჩვენ გვაქვს ასეთი კულტურა, ძველი კანონმდებლობა. საქმით ტერმინებიც და მაინც გვიძნეოდება სასამართლოს ნაციონალიზაცია. და ესლა მიბრძანეთ, საიდან შეუქმნათ ჩვენ ასეთი კულტურა ოსებს, ლეკებს, თათრებს, სომხებს და სხვებს? რად კისრულობთ ისეთ ვალდებულებას, რომლის აღსრულებაც ყოველად მოუხერხებელია? რად აძლევთ აშდენ სხვა და სხვა ხალხს ისეთ თამასუქებს, რომლის განაღდებასაც თქვენ ვერ მოახერხებთ? ამით თქვენ ჩადიხართ იმავე დანაშაულობას, როგორც იყო რეალურ მოსახლეობის პრინციპის თქვენ მიერ აღიარება. როგორც ამ პრინციპით თქვენგანვე წაქეზებული ჩვენი მეზობლები დღეს გვედავებიან და ლომობენ ჩამოსჭრან და ჩამოგლიჯონ საქართველოს ეს თუ ის ჩვენი ტერიტორიის ნაწილები, ისე საქართველოში მცხოვრებ სხვა და სხვა ეროვნებათ უფლება და საშუალება ეძლევა მოგახოვოსთ სრული განაღდება იმ ვექსილებისა, რომელთაც თქვენ მათ აძლევთ ამ კანონით, და რომელთა განაღდებას თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ გვიანლა იქნება თითზე კბენანი.

დასასრულ უნდა ავღნიშნო ისიც, რომ ჩვენ გადაჭარბებულით გვიყვარს შვეიცარიის მაგალითები, მაგრამ რით ვერ დავარწმუნდით აქამდის, რომ საქართველო შვეიცარია არ არის.

სანამ ამიერ კავკასიის ერთ მთლიან სახელმწიფოს იღვას შეესტრფივალბდით, კიდევ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თბილისში ჩვენ ვაწარმოებდით საქმეებს სამ უმთავრეს ენაზე: ქართულად, თათრულად, და სომხურად. მაგრამ როდესაც სინამდვილემ უღმობელოდ დაგვიმსხვრია ეს ფანტასტიური შენობა, მაინც არ უნდა გამოვეთხოვოთ ამ შვეიცარიის მაგალითებს, ამ საცოლავ და გაკატრებულ წამბედურობას?

ნუ თუ დრო არ არის დავარწმუნდეთ, რომ საქართველო სხვა და სხვა სახელმწიფოებიდან კი არ კოწიწდება, არამედ ეს არის ერთი მთლიანი ეროვნული სხეული, ერთი განუყოფელი სახელმწიფო და მას აქვს და კიდევ უნდა ექნეს ერთი სახელმწიფოებრივი ენა.

ამ ენაზე უნდა იყოს წერილობითი წარმოება ყოველ სახელმწიფო დაწესებულებაში.

ამას მოითხოვს საქართველოს ინტერესი.

და თქვენ არ გავთ უფლება შებღალათ იგი.

თაქმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

მამსსენებელი რ. ფანაჯკი. მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ მე-

17 მუხლმა ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა, როგორც მომხსენებელი, რადგანაც იურიდიულ კომისიაში ვეთანხმებოდი უმცირესობის აზრს; მაგრამ, როგორც მომხსენებელი, მე მოვალედ ვრაც ჩემს თავს გაგაცნოთ უმრავლესობის აზრი. ამ მუხლის შეტანა იკისრა იურიდიულმა კომისიამ თავად. მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში ეს მუხლი არ იყო. უწყების და მთავრობის წარმომადგენე-



ლნი წინააღმდეგნი იყვნენ ამ მუხლისა, მაგრამ იურიდიულმა კომისიამ სმის უმრავლესობით მიიღო ეს მუხლი.

იურიდიულ კომისიის მოსაზრება თითქმის სავსებით გააზრდა აზრენიძემ. ამიტომ მე არ გავაგრძელებ სიტყვას; ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები, უმრავლესობის აზრით, გვიკარნახებენ, რომ საქმის წარმოება, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი ხდებოდეს უზნის უმრავლესობის ენაზე.

იურიდიულ კომისიის უმრავლესობა იმ აზრს გამოთქვამს, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი იმას მოითხოვს, რომ მცხოვრებთა შორის ისეთი განწყობილება დამყარდეს, რომელიც შეესაბამება დემოკრატიის ინტერესებს, ერთ მხრივ, და მეორის მხრივ, ის მოსაზრება, რომ შეადუღებს ქართველ ერთან ყველა ერის შვილს—საქართველოს მოქალაქეს. პირველია უადრესი დემოკრატიული წეს-წყობილების მიდრეკილება და მეორე, უნდა ავიცილოთ თავიდან ის ბრალდება, რომელსაც ჩვენ ვდებთ თვითმპყრობელობის სისტემას სასამართლოში, სადაც ჰიპერტრიფიული უპირატესობა ჰქონდა სახელმწიფოებს. რომ ეს ბრალდება აცდენილი იყოს ჩვენგან, იურიდიულ კომისიის აზრით, მე-17 მუხლის დატოვება აუცილებლად საჭიროა. რაც შეეხება იმ დამატებას, რომელიც შემოიტანა საბჭოს წევრმა დადიანმა მე წინააღმდეგი ვარ იმ მოსაზრებით, რომ აქ ლაპარაკია მცხოვრებლებზე და მცხოვრებლებს უყენებს წინ საქართველოს მოქალაქეს. მე ვგონია, რომ ეროვნული საბჭო კანონმდებლობს საქართველოს მოქალაქეთათვის. თავის თავად ცხადია, რომ კანონებს ვწერთ საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, არამედ საქართველოს მცხოვრებ ქვეშევრდომებისათვის, განურჩევლად გვარ-ტომობისა და ეროვნებისა. ეს თავის თავად იგულისხმება.

რაც შეეხება საბჭოს წევრის დადიანის მეორე შესწორებას, მე წინააღმდეგი ვარ ამისი. მე ვგონია ეს, ვერ გადავთარგმნით იმატომ, რომ თუ ჩვენ ვსთარკმნით „Судопроизводство“-ს სამართლის წარმოებად, მაშინ როგორ უნდა გადათარგმნოთ „სუდოპროდუკცია“? „სუდოპროდუკცია“ და „სუდოპროდუკცია“ ერთი და იგივე პროცესია სასამართლოს საქმის წარმოებისა. არა ვგონია, რომ მე-17-ე მუხლს ეს რასმეს შეჰმატებდეს. ჩემის აზრით, რომ კანონის ცხოვრებაში გამტარებელი მე-17 მუხლს ახსნის ისე, რომ „დედოპროდუკცია“ კანცელიარიის საქმის წარმოებათ დარჩება და არა სამართლის წარმოებათ, როგორც ბ-ნ ს. დადიანს ჰგონია.

თავმჯდომარე. მაშასადამე კამათი მოსპობილი გახლავთ. მე კენჭს ვუყრი შესწორებებს. პირველი შესწორება შემოიტანა დადიანმა. ეს შესწორება მოითხოვს, რომ ოფიციალურ ტექსტად ითვლებოდეს ქართული ტექსტი, ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

მეორე შესწორება: მოქალაქის მაგიერ ითქვას „რესპუბლიკის მოქალაქე“.

ს. დადიან. კიდევ არის პატარა ცვლილება.

თავმჯდომარე. გვ შერე. ამის გარდა აქ გახლავთ ბ. მაქავარიანის მიერ წარმოდგენილი ცალკე მუხლი. მომხსენებელს ვთხოვ წაიკითხოს.

ბ. მაქავარია (კითხულობს ბ. მაქავარიანის მიერ წარმოდგენილ მუხლს.)

თავმჯდომარე. კენჭს ვუყრი მე ამ მუხლს, ვინ არის მომხრე, რომ



ეს მუხლი შეტანილი იყოს ამ კანონ-პროექტში? ვინ არის წინადადებელი? მაშასადამე ეს მუხლი უარყოფილია.

ეზილა დარჩა წვრილმანი შესწორებანი, რომელიც განსაზღვრულია შემოიტანა. პირველი შესწორება განხილეს მცხოვრებლების მაგიერ წამებათა: რესპუბლიკის მოქალაქეთ. ვინ არის მომხრე?

არ. წერეთელი. სარედაქციო კომისიის მიმდინარეობის შემთხვევაში, უკარავად, ეს არის შემოტანილი როგორც არსებითი შესწორება. მე გგონია ავტორი სრულყოფილ არის ამას სარედაქციო კომისიის საქმედ. ამიტომ ეს წინადადება შემოაქვს როგორც არსებითი წინადადება. მე უნდა ვუთხრო ამას კენჭი როგორც არსებითი შესწორებას, რომელიც შემოაქვს ავტორს. ვინ არის მომხრე რომ ჩამატებულ იყოს სიტყვა რესპუბლიკის მოქალაქე? შესწორება მიღებულია.

შეადგე არის შესწორება: თუ უზნის მომხრეებელ მოსამართლეს არ იცის უმცირესობის ენა მაშინ საქმე სწავრდება ქართულ ენაზე. ვინ არის მომხრე ამ შესწორებისა? მაშასადამე უარყოფილია. სხვა შესწორება აღარ განხილეთ კენჭს უარი მე-17 მუხლს. ვინ არი მომხრე მე-17 მუხლისა? მაშასადამე მე-17 მუხლი მიღებულია. მე-17 მუხლი დაიხა ისე როგორც არის გარდა იმ შესწორებისა, რომელიც მივიღებთ. გთხოვთ წაიკითხოთ მე-18 მუხლი.

შეამსენებელი. (კითხულობს) 18. იმ ოქტში, ამ უზანში, სადაც არა-ქართველი ერის ნაწილი მცხოვრებთა მნიშვნელოვან უმცირესობას (20% ანუ არა ნაკლებს) შეადგენს—უკველ გარე ქალაქის შეტანა მომხრეებელ სასამართლოში და სიტყვიერი განმარტების მიცემა შეიძლება უმცირესობის ენაზე; ამავე ენაზე უფლება აქვს განსაკუთრებული სასაიდლოს გაუღებლად მიიღონ ჩოველგარი სამართლის წესებს განსახივრული ქალაქების პირი. თუ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული, ბოლო სამოქალაქო საქმეში კი ორივე მხარე მოითხოვს საქმის გარჩევას არა ქართულ ენაზე და მომხრეებელმა მოსამართლემ, ან მოსამართლეთა ყრილობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერი წარმოება უნდა მოხდეს ამ ენაზე.

ს. დაბანა. იმავე მოსაზრებით რომელითაც მე-17 მუხლში მცხოვრების მაგიერად მიიღოთ: რესპუბლიკის მოქალაქეთა, გთხოვთ აქაც მიუჩიოთ ყურადღება. აქაც არის მცხოვრებთა მნიშვნელოვან უმცირესობას. შენატონსა მაგიერათ უნდა ეხმაროთ რესპუბლიკის მოქალაქეთა.

შეამსენებელი. იმავე მოსაზრებით. მოსაზრებითაც მოვითხოვდი, რომ მე-17 მუხლს ეს შესწორება უარყოფილი ყოფილიყო—ქაც წინადადებელი ვარ.

თავმჯდომარე. მომხსენებელი ამ შესწორებას უარ ვყოფს. ვინ არის მომხრე ამის რომ ეს შესწორება შეეიტანოს მე-18 მუხლში. ეს შესწორება მიღებულია. ვინ არის მომხრე იმისი, რომ ეს მე-18 მუხლი მიღებული იყოს (მიღებულია). მუხლი მე-19.

შეამსენებელი. პატიმრად შეიქმნა თხოვნები და ყოველგვარი სასამართლო ქალაქები შეუძლიან შეიტანონ შრომობიურ ენაზე.

თავმჯდომარე. სიტყვა ვაუთენის საბჭოს წევრს მაქაეაიონს. თანვე მაქაეაიონს (ერ.-დემ.) მე გგონია ეროვნული საბჭო ამაში მაინც დამეთანხმება, რომ ეს მუხლი მიუღებელია ამ საბით. მიუღებ-



ლია იმისთვის, რომ არ არსებობს დედამიწის ზურგზე არც ერთი სახელმწიფო, რაც უნდა დემოკრატიული, უპარტისოდ დემოკრატიული იყოს ჩვენი, რომ ყოველივე ადამიანს, სადაც უნდა იყოს გამოთავისუფლებული, ნება მისცეს სასამართლოს მან მიმართოს თავის ენაზე დაწერილ საჩივრით. არის ერთი მაგალითი შვეიცარია, სადაც ყოველივე პირს, რომელიც დატყველებული არის, ნება ეძლევა სასამართლოს მიმართოს სამ უმთავრეს ენაზე, რომელიც არსებობენ შვეიცარიაში.

თქვენ რომ ეს მუხლი მიიღონ დღეს, ვინმე ჩინელმა რომ რაიმე ჩადინოს, ჩინურ ენაზე უნდა მიმართოს. ბოლო ოსი რომ ჩამოვიდეს ან ვოტიაკი ავსტრალიელ ან სხვა. ყველა ერთს წარმოვადგენდეს უნდა მისცეთ ნება თავის ენაზე გავწინო სასამართლოში ქალაქები.

მაშინ თქვენ არ გუკლავთ მთელს თქვენი პროფესორები, აუთორიტული მკვლევარი პირნი, ამისთან ყოველად შეუძლებელია, რომ გუკავდეს მკვლევარ ყველა ენისა, რომელიც არის დედამიწის ზურგზე. მაშინ უნდა შევქმნათ დიდი დაწესებულება, რომლის შექმნება თქვენ არ გაქვთ. ამით საქმეზე, შგონია, ყველა დასთანხმება, რომ შეუფერხებება.


შე ვამტკიცებ, რომ, თუ ნება მისცა გამოვიტყუებოდა რომელიც მოვასწავთ ვოტიაკებს ან და ჩინელებს თავიანთ ენაზე შემოიტანონ ქალაქი მას აღარა აქვს უფლება საქმე გავანაგრძლოს. უნდა შევჩვიოთ საქმე სანამ არ გადაუთარგმნიან სხვა ენიდან ქართულ ენაზე. ან უნდა გავზავნოს ჩინეთში გადასათარგმნელი, ან უნდა გავზავნოს ვაკი სხვა დიდ სახელმწიფოში, სადაც უნივერსიტეტში და მაღალ სასწავლებლებში გადათარგმნიან. ეს კი შეუფერხებებს სავაჭრომხიებლო მოქმედებას საქმის წარმოებას სასამართლოში რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს.

ამ მუხლის მიღება ყოველად შეუძლებელია. ეს მუხლი მიუღებულა ამ სახით. თქვენ შეგიძლიათ რომ მისცეთ ნება რომ დენიმე ენაზე შემოიტანონ ქალაქი. მაგრამ როგორ განსაზღვრავს სამინისტრო ამ რაოდენობას არ ვიცი. ამ თვალთვლით კი ეს მუხლი მიუღებელია.

თავისუფლად, სიტყვა ეკუთნის საბჭოს წევრს განათავისუფლად. თუ თქვენ ბრუნავდით, (ს. თ.) პატიმარი, ტუსაღი განსაკუთრებულ პირობებში არის, ამ შემთხვევაში იქნება უნდა იყოს, სწორედ განსაკუთრებული პირობებში არის. დაბატონირებს, დაიჭირებს; ჩახეცს ციხეში; და ნუ თუ თქვენ საშუალება არ უნდა მისცეთ მას რომ თავის დედა ენაზე მისცეს ქალაქი. სხვა ენა არ იცის, ვერ გაავტობინებს თავის ტკივილებს თავის არსს, თუ თავის დედა ენაზე არ შემოიტანა ქალაქი. თქვენ კი უსპობთ საშუალებას რომ თავისი აზრი გაავტობინოს და აღსწინას საქმის ურთაობა, რადგანაც მართლა მან იცის ვიფარება თუ საქმისათვის.

ბატონმა მაკვარანმა მბრძანა — ვთქვათ ჩინელი დაიჭირეს და სად იპოვნით ამისთანა პირს, რომელსაც ეცოდინება იმისი ენა, რომ ვადა-თარგმნოს. თქვენ შეგიძლიათ მართლაც უკეთესი იგი, ინგლისის თუ რომელი სახელმწიფო მოვალე არის, ამ შემთხვევაში, ყოველივე სახსარით მიუშველოს ამისთანა პირს, ჩვენ საგარეო სამინისტროში გუკავს შესაფერი მკვლევარი პირნი და შეიძლება სწორედ ამ სამინისტროში გავიზავნოს ამისთანა ქალაქი. მოვიფიქროთ იპოვნის საშუალებას, რომ სწორედ ამისთანა არა, ამისთანა თხოვნა, ამისთანა ქალაქი ვადუთარგმნოს სათანადო პირმა.

შეუძლებელია, რომ დააკისროთ ქალაქის შეტანა მართლ სა-



ხელმწიფო ენაზე, რადგან შესაძლებელია რომ დატუსაღებული იქნება ნა პირი იყოს, რომელმაც გარდა დედენისა და სხვა ენა არ იცოდეს. სასამართლომ უნდა დაიცავს ინტერესი შეპყრობილისა. თუ კი ჩვენ უსპობით საშუალებას, თუ კი ჩვენ ციხეში ჩავსვამთ, თუ არ შეუძლიან მას მიმართოს შკოდნე პირს, მაშასადამე თითონ სახელმწიფომ უნდა უშველოს ამ ადამიანს. ამ შემთხვევაში. სასამართალი იქნება დაკული, რაც ვააგებინებს საქმის ვითარებას. ამ შემთხვევაში თითონ კანონი იქნება დაკული. ამ მოსახრებით ჩვენ მხარს უჭერთ იმას, რომ ეს მუხლი დატოვებული იყოს.

ის მოსახრება, რომ შევიცარიამი სარტო მ ენაზე სწარმოებს საქმეო - მე ბოდიშს ვიბდი საბჭოს წინაშე, მაგრამ, მე მგონია ეს არ არის მართალი. იქ საქმე სამ ენაზე კი არ სწარმოებს, იქ ყველას აქვს ნება თავის ენაზე მისცეს ქალაღლი, მაგრამ უნდა დაუმატოს საფასური, ფული გადათარგმნისთვის. შევიცარიის კანონი სწორედ ამას მოითხოვს.

მართალია, რომ დედანი ამ კანონისა არა ვააქვს, მაგრამ როგორც მე ვაფიგე, როგორც მე ვიცი სწორედ ასეთი კანონია: დედა ენაზე შეუძლიან მისცეს ქალაღლი და თითონვე მისცეს ფული გადათარგმნისთვის.

ამ შემთხვევაში ეს თარგმანი სახელმწიფომ უნდა მიიღოს თავის თავზე, რადგანაც აქ ღარიბი ხალხია. ვერ დაეკისრებთ დაპატიმრებულს უსათუოდ დიდი ფული მოვთხოვოთ. შესაძლოა იმას ეს შეძლება არ ჰქონდეს. სახელმწიფო მოვალე არის, რომ გაუწვდინოს ხელი და ეს პატარა სამსახური სახელმწიფოს წინაშე შეასრულოს, ვადუთარგმნოს და მისცეს სათანადო გზა. მაშასადამე ეს კანონიც არის ისტორიაც არის და მოთხოვნილება. ჩემის აზრით ამ კანონს მხარი უნდა დაუჭიროოთ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

მამსსკეჟელა რ. აფსიაჯია. ჩემის აზრით კანონმდებელს, სახელმწიფოს ნორმალური პირობები უნდა ჰქონდეს მხედველობაში. თავის თავად ცხადია, როდესაც შემოგვექონდა ეს მე-19 მუხლი, ჩვენ ვგულისხმობდით ნორმალურ პირობებს და იმ ერებს, რომელთაც ექნებათ სასამართლოში საქმე. რასაკვირველია. შესაძლებელია ისეთი გამონაკლისი ბეკოდეს, როგორც სიტყვა ბ. მაქავარიანმა. შეიძლება პატიმრად იყოს ზულუსი, ვატიაკი ან და ჩინელი. საქმის წარმოება, მათი ქალაღლების თარგმნა მაშინ ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩემის აზრით, სახელმწიფოსათვის კანონების შეცვლა-შემოცვლა ამ გამონაკლისისთვის შეუძლებელია.

შემდეგ ამისა, უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თვითონ პატიმარი დაინტერესებულია, რომ მისი საქმე ჩქაროს ტემპით მიდიოდეს. რადგანაც ჩინელი, რომელმაც იცის, რომ თბილისში ორი სამი ჩინელი მოიპოვება, იგი ყოველ ანგარიშს გაუწევს ამ შემთხვევას და შემოიტანს თხოვნას იმ ენაზე, რომელიც იცის მოსამართლემ და რომლის გადათარგმნა არ მოუხდება. ამ მოსახრებით მე ყოველად შეუძლებლათ მიმაჩნია ამ მუხლის გამოტოვება.

თავმჯდომარე. მე კენჭს ვუყრი მაქავარიანის წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ ეს მუხლი ამოიშალოს? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე წინადადება უარყოფილია. ვინ არის მომხრე ამ მუხლისა? ვინ არის წინააღმდეგი? მუხლი მიღებულია.





კონკრეტული წიკითხით შემდეგი მუხლი.

მაშხაყაძე რ. ივანეჯი. (კითხულია): საქართველოს მოსამართლეს ექვემდებარება საქმეები საქ. წეს. მე-1642 მუხ. და სისხლ. სამ საქ. წარ. წესდ. მე-1259 და 1260 მუხ. აღნიშნულნი და ამასთანავე სისხლის სამართლის ყველა საქმე საბაზინო მართველობათა წესდებათა დარღვევის შესახებ, იმ საქმეთა გარდა, რომელთათვისაც კანონში დადგენილი სასჯელი შეერთებულია უფლებათა შეზღუდვასთან, ან ჯარიმა აღემატება 2000 მანეთს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის იუსტიციის მინისტრს.

იუსტიციის მინისტრი შალვა შესხამეაძი. მე ვთხოვ ეროვნულ საბჭოს, რომ ამ კანონში, რომელსაც დღეს ჩვენ ვიხილავთ, ეს მუხლი უცვლელად დარჩეს, იმისდა მიუხედავად, რომ ეს მუხლი თანამედროვე ცხოვრებაში და ღრევიანდელ ვითარებას არ შეეფერება. მე უკვე შეტანილი მაქვს მთავრობაში დროებითი კანონი ამ მუხლის შეცვლის შესახებ, რადგანც ეროვნულმა საბჭომ ეს კანონპროექტი უნდა მიიღოს, როგორც დროებითი კანონი.

საქმე იმაშია, რომ არსებულ კანონის ძალით ყოველგვარი ქურდობა, ფულის მითვისება და გაფლანგვა, რომელიც აღემატება 300 მანეთს უქველად უნდა გაირჩეს საოლქო სასამართლოში. საოლქო სასამართლოს წინ უნდა უძღოდეს წინასწარი გამოძიება გამოძიებლის მიერ. ღრევიანდელ პირობებში ეს კანონი ყოველად უვარგისად მიგვაჩინია. თუ უწინ რაიმე ნივთს მქონდა 300 მანეთის ღირებულება დღეს ისეთი მდგომარეობა არის, რომ უბრალო წყვილი ფეხსაცმლის ღირებულება 300 მანეთს აღემატება: ამ გვარად მოპრიგებელ მოსამართლეს თითქმის მთლიანად გამოეცალა ხელიდან ეს საქმეა ფულის დაცემის გამო და გამოძიებელს აუტანელი შრომა დააწვა.

ზოგიერთი უბანში 40-50 საქმეა გაურჩეველი. ეს აიხსნება მხოლოდ იმითი, რომ ის ნივთი, რომელიც წინად ღირდა 20 მანეთი დღეს უკვე ღირს 300 მანეთი. აი ამიტომ მე ამისთანა თხოვნით მიემართავ ეროვნულ საბჭოს: როგორც კანონი, როგორც საფუძველი მოპრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა ეს მუხლი უცვლელად უნდა დარჩეს. მხოლოდ ამ ერთი კვირის განმავლობაში მე თქვენ წარმოგიდგინებ დამატებით კანონპროექტს, რომელსაც მხედველობაში აქვს მიღებული ეს მოვლენა, რომელზედაც მე პატივი მქონდა მომეხსენებინა.

ამგვარად აფართოვებს მოპრიგებელ მოსამართლის კომპეტენციის საქმის მოპრიგების მხრივ, ეს ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, გამოძიებელს უსაშუაშუკებს საქმეს ესევე უნდა ითქვას სამოქალაქო მოსამართლის საქმეზე საოლქო სასამართლოს ტყვემდებარებიან საქმეები, რომელნიც არა აღემატებიან 2 ათასს მან. მაგრამ თუ თქვენ ყურადღებას მიიქცევთ, როგორ ვაძვირდა დღეს ცხოვრება, როგორ დაეცა ფულის ფასი, თქვენ დაშეთანხმებით, 2000 მ. ძალიან დიდი შეზღუდვა არის მოპრიგებელ მოსამართლის კომპეტენციისა. ეს ნაწილი უნდა გამოტოვებული იყოს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს არსენიძეს.

რ. არსენაძე. (ს. დ.) სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით,



ჩვენ ჩვენ ვკონდა ვანზრახვა შემოგვეტანა დამატება, რომ მომრიგებ-  
ბელ მოსამართლის კომპეტენცია სამოქალაქო საქმეებისთვის განსაზღვრე-  
ბული ყოფილიყვეს 10000 მან. მაგრამ იმ განცხადების შემდეგ, რომელიც  
მელიც ვაკეთა იუსტიციის მინისტრმა, მე გგონია, რომ მართლაც  
დაწერილობით შემეშავება უმჯობესია, და ამიტომ მე ვხსნი ამ ეჟამდ  
იმ შესწორებას, რომელიც შემოვიტანეთ.

თაყაიშობა. მე მომხრე ვარ დარჩეს ისე როგორც არის.

თაყაიშობა. ვინ არის მომხრე რომ დარჩეს ისე, როგორც არის.  
მაშასადამე მე-20-ე მუხლი მიღებულია ისე, როგორც არის. გთხოვთ  
წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

რ. აჯანაგია. (კითხულობს) მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა  
შესდგება თავმჯდომარის, საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართ-  
ლისაგან.

თაყაიშობა. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასა-  
დამე ეს მუხლი მიღებულია, გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

რ. აჯანაგია. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე  
ს ირჩევენ თავის წრიდან საუბნო მომრიგებელი მოსამართლენი, თავ  
მჯდომარე თავისუფალია მომრიგებელ უბნის გამგეობისაგან და ამ უბ-  
ნისთვის საერთო წესით ირჩევა ახალი მოსამართლე.

თაყაიშობა. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებუ-  
ლია. შემდეგი.

რ. აჯანაგია. (კითხულობს) მეორე განყოფილების პირველი მუხლი.

საქართველოს რესპუბლიკაში გაუქმებულია აწ არსებული თანამ-  
დებობა მომრიგებელ მოსამართლისა, იმის თანაშემწისა და საპატიო მო-  
სამართლისა. ყველა ეს პირნი და აგრეთვე მათი კანცელიარის მოსამ-  
სახურენი, თუ ახალი თანამდებობა არ მიიღეს დაკმაყოფილებულ იქნე-  
ბიან საერთო წესით.

თაყაიშობა. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღე-  
ბულია.

რ. აჯანაგია. (კითხულობს) ზევით აღნიშნულ პირთ სამსახურიდან  
გადადგომა შეუძლიანთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი მოსამართლენი  
შეესდგებიან მოვალეობის აღსრულებას.

თაყაიშობა. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ.  
მიღებულია.

რ. აჯანაგია. (კითხულობს) გაუქმდეს სოფლის სასამართლოები და  
მათი ქვემდებარე დაუმთავრებელი საქმენი გადაეცეს მომრიგებელ მო-  
სამართლეთ.

თაყაიშობა. ვის სურს სიტყვა, ვინ არის წინააღმდეგი? ეს მუხ-  
ლიც მიღებულია. ახლა აქ გახლავთ ბატონებო ნუსხა სამომრიგებლო  
ინსტიტუტის დაწესებულებისა, აღნიშნულია მომრიგებელ მოსამართ-  
ლეთა ყრილობანი გნებათ ცალკ-ცალკე წავიკითხოთ თუ არა (ხმები:  
არა, არა!)

თაყაიშობა. გთხოვთ წაიკითხოთ შტატები.

რ. აჯანაგია. (კითხულობს) შტატები მომრიგებელ მოსამართლეთა  
ინსტიტუტისა:

მომრიგებელ ყრილობათა თავმჯდომარე რიცხვით 11. თითოეულს  
თვეში 750 მან.

თაყაიშობა. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.



ბ. ივანიშვილი. უბნის მომრიგებელ მოსამართლენი ქალაქებში — დბი...  
ლისში 2-მდე, ქუთაისში 5, ფოთსა და სოხუმში ორ-ორჯერ...  
ულს თვეში 700 მან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს  
წევრს დადიანს.

სამსონ დადიანი. (ს. ფ.) როგორც მოგვხსენებთ კანონპროექტის  
მეთერთმეტე მუხლში არის აღნიშნული, რომ მომრიგებელ მოსამართ-  
ლის თანამდებობაზე შესაძლოა დანიშნული იქნეს ისეთი პირი, რო-  
მელსაც საშუალო განათლება არა აქვს მიღებული. და თუ დაუკვირ-  
დებით მათ ჯამაგირს, შეიძლება ერთგვარი შიში გამოსთქვათ: ვაი თუ  
ასეთმა მცირე ჯამაგირმა დააფრთხოს საშუალო და მით უმეტეს უმაღ-  
ლეს განათლებით აღჭურვილი ადამიანები, ვაი თუ ჩვენ სასამართლოში  
მოექცნენ ისეთი პირნი, რომელნიც ღღეს ცნობილნი არიან, ისეთ  
პირებად, რომელნიც ამცირებენ სასამართლოს.

თორემ ვისაც უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული აქვს ყოვე-  
ლად შეუძლებელია ასეთ მცირე ჯამაგირით დაკმაყოფილდეს.

ამ აოსაზრებით, რომ ჩვენი პრესტიჟი ზნეობრივად მალლა იდგეს,  
ყოველ შემთხვევაში ასეთ წინადადებას ვიძლევი რომ მომრიგებელ მო-  
სამართლის ჯამაგირი გადიდებულ იქნეს 50 მანეთით, ესე იგი 700 მ.  
მაგივრად დაენიშნოთ 750 მანეთი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის იუსტიციის მინისტრს.

იუსტიციის მინისტრი შ. შესისხვილი. თუ მოუშატებთ, ბატონებო  
მე მადლობის მეტი არ შეთქმის რა. მაგრამ ყურადღება უნდა მიაქციონ  
იმ გარემოებას, რომ შართალია ჯამაგირი დიდი არ არის, მაგრამ ნუ  
გაიწყდებით, რომ ყოველ მომრიგებელ მოსამართლეს აქვს ბინის ქირა  
და გათბობა-განათების ფასი.

როგორც მოგვხსენებთ პროცინციაში თითქმის ყოველ კამერას  
თან სდევს ბინა, და ეს ძალიან დიდი შეღავათია მათთვის. მაგრამ მა-  
ინც, ამისდა მიუხედავად ეს ჯამაგირი არ არის დიდი. მაგრამ, თუ  
ერთგვლი საბჭო ს. დადიანის განმარტებით, მოუშატებს მათ ჯამაგირს  
მე მადლობის მეტი არა შეთქმის და საწინააღმდეგი არაფერი მაქვს.

თავმჯდომარე. (სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს).

მომხსენებელი. მე ყოველ თვის მომხრე ვარ რომ ჯამაგირი მეტი  
ჰქონდეთ საზოგადოდ მოხელეს. მაგრამ მე ვფიქრობ საზოგადოდ ჯა-  
მაგირის მომატებაში განსხვავება არ უნდა იყოს იმავე დარგის მოხელე-  
ბისთვის. ამას წინაღ მივიღეთ კანონი სასამართლოს საგამომძიებლო  
ნაწილის შეცვლის შესახებ და საგანგებო საქმეთ გამომძიებლებს ამდენივე  
ჯამაგირი დაუნიშნეთ. ეს თანამდებობენი თანაბარი არის, და ერთნაირი  
მოუხერხებლობა იქნებოდა რომ მათ ჯამაგირს მომრიგებელ მოსამარ-  
თლეთ ჯამაგირი აღემატებოდეს.

შემდეგ, იმ მოსაზრებით, რომელიც მოიყვანა იუსტიციის მინის-  
ტრმა, რომ მომრიგებელ მოსამართლენი შეღავათიან პირობებში იქმნე-  
ბან ჩაყენებული, მე წინააღმდეგი ვიქმნები, რომ მათ ჯამაგირი მოუ-  
მატონ.

თავმჯდომარე (იუს. ბარათაშვილი). კენჭს უყრი ამ წინადადებას.  
უარყოფილია.



საქართველოს  
სახელმწიფო ბანკი

**რ. იქნაიცი (განაგრძობს შტატის კითხვას):**

უბნის მოპირგებელ მოსამართლენი მახ-  
რებში და სოფლებში 89 . . . . . თვეში თვითთელს 500 "

მოპირგ. მოსამ. ყრილობის მდივანი—11 . . . . . " " 400 "

მათი თანაშემწენი—12 . . . . . " " 375 "

თარჯიმანები—12 . . . . . " " 500 "

ბოქაულები—11 . . . . . " 0 400 "

მოპირგებელ სასამართლოს მდივანი—120 . . . . . " " 400 "

თარჯიმანები—120 . . . . . " " 325 "

ბოქაულები ქალაქებში—ტფილისში—22,  
ქუთ. 5, ფოთში 2 და სოხუმში 1. . . . . " " 500 "

ბოქაულები დანარჩენ ადგილებში 89 . . . . . " " 450 "

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ.  
მაშასადამე მიღებულია.

**რ. იქნაიცი (კითხულობს):**

ურდობის კანცელარიისთვის ტფილისში:

გადამწერი 2 . . . . . თვეში თვითთელს 300 მ.  
მანქანაზე გადამწერი 1 . . . . . " " 300 "

მსახური 1 . . . . . " " 250 "

გზირი 1 . . . . . " " 250 "

საწერი მასაღისათვის 3000 მ.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ.  
მაშასადამე მიღებულია.

**რ. იქნაიცი. ყრილობის კანცელარიისთვის ქუთაისში.**

გადამწერი 2 . . . . . თვეში თვითთელს 300 მ.  
მანქანაზე გადამწერი 1 . . . . . " " 300 "

გზირი 1 . . . . . " " 250 "

მსახური 1 . . . . . " " 250 "

საწერი მასალა 3000 მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**რ. იქნაიცი (კითხულობს).**

**შენიშვნა:** ხინა ურდობათ უძღვება აბაღისას სასამართლოში და ქუ-  
თაისას სამომრეგულათ შენობაში.

შრომისთვის დანარჩენებს მომრეგულ ურდობის კანცელარიისთვის.

გადამწერი ორ-ორი თითოს 18 . . . . . თვეში თვითთელს 300 მ.  
მანქანაზე გადამწერი 9 . . . . . " " 300 "

გზირი 9 . . . . . " " 250 "

მსახური 9 . . . . . " " 250 "

საწერი მასაღისათვის თითოს—3000

ბინისათვი გათბობა-განათვებითურთ—3000

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**რ. იქნაიცი (კითხულობს).**

მომრეგულ სასამართლოს კანცელარიისთვის.

გადამწერი ორ-ორი თითოთელს 240 . . . . . თვეში თვითთელს 300 მ.  
მანქანაზე გადამწერი 120 . . . . . " " 300 "

გზირი 120 . . . . . " " 250 "

მსახური 120 . . . . . " " 250 "

საწერი მასაღისათვის 120—3000



ბინისათვის გათბობა განათებითურთ ტფილისში 22—4200  
დანარჩენ ადგილებში 98—2000

სულ მთელი ჯამი ამა წლის დამლევამდე . . . 1972200 ა.  
თაყმეჯღოძარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

**განხილვა დებულებისა ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათან ერთად 280 მილ. მან. ბონების შესახებ.**

თაყმეჯღოძარე. შემდეგ კანონპროექტ მეტად საჩქაროა გახლავთ, და, სხვათა შორის მთავრობა ვთხოვთ, რომ დღესვე განიხილოთ მომხსენებელი დიომიდე თოფურაძე.

დაომდე თაფურაძე. (ს. დ.) როდესაც 280 მილიონი ბონი იყო გამოცემული, მოხდა ხელშეკრულება სომხეთთან მაშინ მე-11 მუხლში იყო მომხსენებელი შემდეგი (კითხ. ხელშეკრულების 14 მუხლს). როგორც ხედავთ, ამ მე-14 პუნქტში უკვე იყო ნათქვამი, რომ ადერბეიჯანს აქვს უფლება თუ მოისურვებს მოითხოვოს ეს. მაშასადამე დამატებითი ბონი გამოიცემა და ეს ბონები უნდა მაგათ მიეცეთ.

ასე, რომ ეს კითხვა არსებითად უკვე გადაჭრილი იყო პირველ ხელშეკრულებაში. ეხლა საკითხი სდგას როდენობაზე უნდა მიეცეთ ამის შეფ.ბ ზენ მოგვიყვად ვ კანონპროექტი რომდესაც დაეთანხმა კომისია და ეს კანონ-პროექტი აშაირად შემუშავდა (კითხულობს) დებულება ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათან ერთად 280 მილ. მანეთის ბონების გამოცემისა.

მუხლი 1. ხელშეკრულება, დადებული საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათა შორის, 1918 წ. ენკენისთვის 6-ს 280 მილ. მანეთის ბონების საერთო პასუხისმგებლობით გამოცემისა და უკვე გამოცემულ სამას მილიონის მანეთის ბონების პასუხისმგებლობის შესახებ დამტკიცებულ იქნეს.

2. ეს ხელშეკრულება ძალაში შესულად იქნეს ცნობილი იმ დღიდან, როცა საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის შორის რესპუბლიკათ იქნები გაცვლილი სათანადო რატიფიკაციები. აი ამ სახით მიიღო ეს კანონპროექტი ფინანსთა მინისტრისა.

თაყმეჯღოძარე. ვის სურს სიტყვა? სიტყვა არავის სურს, ვინ არი წინააღმდეგი რომ გადავიდეთ მუგლობრივ განგილვაზე? არავინ. მაშასადამე გადავდივართ მუხლობრივ განხილვაზე.  
ვთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი-

ა. თაფურაძე (კითხულობს) ხელშეკრულება დადებული საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათა შორის 1918 წ. ენკენისთვის 6-ს 280 მილ მანეთის ბონების საერთო პასუხისმგებლობით გამოცემისა და უკვე გამოცემულ სამას მილიონის მანეთის ბონების პასუხისმგებლობის შესახებ დამტკიცებულ იქნეს.

თაყმეჯღოძარე ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ მუხლი მიღებულია. ვთხოვთ წაიკითგოთ მეოთხე მუხლი.

ბ. თაფურაძე (კითხულობს) ეს ხელშეკრულება ძალაში შესულად იქნეს ცნობილი იმ დღიდან, როცა საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათა შორის იქნება გაცვლილი სათანადო რატიფიკაციები.

თაყმეჯღოძარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე



დამე მეორე მუხლიც მიღებულია. კენქს უყრი მთელ კანონ-პროექტს, ვინ არის წინააღმდეგი მთლად კანონ-პროექტისა? არაფერ. კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

ესლა ვიდრე კრებას დავხურავდვ უნდა გთხოვოთ შემდეგი. პრეზიდიუმმა დიდიხანია, რაც საბჭოს მოხსენება გაუკეთა იმ ბონების შესახებ, რომელიც ჰქონდა ძველ ეროვნულ საბჭოს.

ეს მთავრობის თხოვნით უნდა განხილულ ყოფილიყო, უნდა მოესმინათ ფრაქციებისა და მთავრობის წარმომადგენელთ, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ეს მოიხსენება ვერ გაკეთდა.

ხვალ, როგორც გავივით, მთავრობას აქვს კრება და ეთხოვ ფრაქციების წარმომადგენლებს დაესწრნენ კრებას, რამ მოვრჩით ამ საქმეს და გავათავოდ. ესლა კრებას ვხურავ.

(კრება იხურება 4 ს. და 45 წუთზე).

**რედაქტორი ს. თარდასაშვილი.**



მთავარ კორექტურულ შეცდომათა გასწორება.

მე-39-ე სხდომის ანგარიშში (იხილეთ „საქ. რესპ.“ დამატება № 16) შემდეგი კორექტურული შეცდომებია:

მე-39 გვ. მე-7 სტრიქონში დაბეჭდილია: ეს იქნება სიმშილი. უნდა იყოს: სიმბოლო.

მე-30 სტრიქონში: დაბეჭდილია: „როგორ გნებავთ დამფარონ“. უნდა იყოს: „დააფასონ“.

48 სტრიქონში დაბეჭდილია: „ოპტიმისტური პესსიმიზმი“. უნდა იყოს: „ოპტიმისტური მესსიანიზმი“.

მე-40 გვერდზე პირველ სტრიქონში. დაბეჭდილია: „ოპტიმისტურ პესსიმიზმების წყებას ეკუთვნის“. უნდა იყოს: „ოპტიმისტურ მესსიანიზმების წყებას ეკუთვნის“.

მე-4 სტრიქონში. დაბეჭდილია: „ირაკლი წერეთლის პესსიმიზტობა“. უნდა იყოს: „მესსიანიზტობა“.

მე-40 სხდომის ანგარიშში: მმ-13 გვერდზე, წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის ხარჯთ-აღრიცხვაში მე-7 სტრიქონში გამოტოვებულია: „სამღეთო სჯულის მასწავლებელს — 600 მ.“.

მე-25 სტრიქონში: დაბეჭდილია: „როგორც ფაკულტატიური“. უნდა იყოს: „ფაკულტატიური“.

